


F 221
1931

9-10.

F

31 85060



PHOTOGRAPH BY...

1931

1931
 10/20/31
 10/20/31



ლემიან ზეგანი

ლაილუკეზიანი!

F 687

ესპანეთში ტახტიდან ჩამოაგდეს მეფე ალფონსი.
გაზეთებიდან დაილუპებიან ყველა მეფენი, საბრალონი!
ბერანჟე

ერთ გვირგვინოსანს კიდევ ელისა ჩამობრძანება ტახტიდან ძირსა. რა ძნელი გახდა ახლა მეფობა! ძლიერ დაეცა მეფის ხელობა!

— „ხედავთ ზღვის ტალღებს აზვირთებულთა ვაფრთხილებ ქვეყნის ყოვლ დიდებულთა, ნუ შეტყვიან; “ჰბოდავ,“ ახლოა დღენი: წყალს გაყვებიან ყველა მეფენი!

მათ გვირგვინებსა ოქროს მოხსნიან და იმ ოქროსგან ფულებს მოჭრიან!“ ასე დამღერდა ერთ დროს სიცილით პოეტ ბერანჟე, ენით მახვილით.

და რაც ოდესღაც მან განაცხადა, დღეს ეს თითქმის რომ კიდევაც ახლა. ყველა ვხედავდით, რომ მეფე ალფონსის სასახლის ჭერი თავზე ენგრევა,

პროლეტარული საღამო ღემიან ბედნის, ოცი წლის მუშაობის შესრულების გამო ბოლშევიკურ პრესაში.

რომ ვეღარ გავა ის ძველ ხერხით ფონს, აღშფოთებულ ხალხს ვერ მოერევა. და კიდევ მოხდა ამბავი დიდი: — „ალარ გყავს მეფე!“ — ხარობს მადრიდი.

აღფრთხილება!. მხიარულება!. რესპუბლიკანურ „ზართ ხმაურობა!“ მაგრამ სხვა ზარიც აგერ გაისმა: — „მღშობსა უნდა ავუმალლოთ ხმა!“

აგრეა ერევე, ვითა მისანი, (პარიზში ცხოვრობს ეს წილოსანი), როგორ აფრთხილებს უკვე საფრანგეთს, — თუმც საფრანგეთი ისეც ფრთხილია, —

— „უნდა ვერიდოთ ემაგ ესპანეთს: ვამბობ, რასაცა ვფიქრობდი დღემდე, — რომ მადრიდიდან ჯზა მოსკოვამდე არც ისე შორი რამ მანძილია...“

არც საფრანგეთის შტაბსა სძინავს: სირეთში უდგამს ტახტს ალი-მთავარს. მაგრამ ამოდ: აზვირთულ ძალებს, ხალხის რისხვასა ვერვინ გაუძლებს.

შთანთქავს, წაპლევავს ყველა ბობოლებს და შეფეხსაც წთან ჩაიყოლებს. მეფეც ხომ ბევრი აღარა რჩება, ყველა თითებზე ჩამოითვლება.


ტახტებზე სხედან ვით ქანდარაზე. „ადრე და მალე, დღესა თუ ხვალე“ ესენიც წავლენ ალფონსის გზაზე.

სხედან ტახტებზე, ვით ცოცხალ-მკვდრები. „იჯექი წყნარად! ნუ დაიძვრები!“ — მათ უბრძანებენ ბირჟის გამგენი, დღეს კიდევ ცოცხლად რჩენილ მეფენი..


ჯერ ხომ წიხლი ჰკრეს ალფონსის ჭკვა-თხელსა, ახლა აბამენ ობობას ქსელსა, დამპალ ძაფებით ქსოვენ ბადესა, მახეს უგებენ პროლეტარებსა.

მაგრამ ქვეყანა მთელი ხმელეთი, არა ევროპა მარტოკა ერთი, ელის მძვინვარე ქარიშხალებსა, ხალხი მრისხანე იკრებს ძალებსა.

ცა, დედამიწა ჯანყით მოცულა, წარღვნის ზვირთები მალდა ასულა. ვერსად წაუვლენ ბირჟის გამგენიც, თავს ვერ უშველენ ფულის მეფენიც.



(მიქაელ ჰოვჰანისიანი)



ამ დღეებში გადახდილი იქნება რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში სომეხთა ცნობილ მწერალ ნარ-დოსის სამწერლო მოღვაწეობის 45 წლის იუბილე. ამის გამო მეტი არ იქნება, რამოდენიმე სტრიქონით გვააცნოთ ქართველ მშრომელებს, თუ ვინ არის ნარ-დოსი.

ნარ-დოსი დაიბადა 1867 წელს ქალ. ტფილისში წვრილ მოვაჭრის (მატყლით მოვაჭრე) ოჯახში. მშობლები ძლიერ კითხულობდნენ და სწერდნენ ქართულად და ყურადღებას არ აქცევდნენ ვაჟი-შვილის სწავლა-განათლებას. მან საშუალო სასწავლებელიც ვერ დაამთავრა. რამდენიმე წელიწადი ავლაბრის სამრევლო სკოლაში სწავლის შემდეგ, შევიდა ქალაქის ორკლასიან სკოლაში, იმავე სკოლის გამგის მცადინეობით მიიღეს ხონის (ქუთაისის მაზრა) სამასწავლებლო სემინარიაში. მაგრამ ერთი წლის შემდეგ იძულებული გახდა უფულობის გამო თავი დაენებებინა. ამ მარცხის შემდეგ ნარ-დოსი ხელახლად ჩამოდის ტფილისში და ცდილობს რკინის გზის სასწავლებელში შესვლას, მაგრამ უფულობის გამო მიზანი განუხორციელებელი რჩება, „ჩემი მშობლები უფიცები იყვნენ, გარემოცული ვიყავ უფიცებით, მზრუნველი, გზის მაჩვენებელი არავინ მყვანდა,“—ამბობს თავის ხელნაწერ ავტობიოგრაფიაში, და ამ უპატრონობის გამო ის მხოლოდ თავის

საკუთარ ძალ-ღონით იკვლევს გზას. ის ახერხებს შესვლას სახელოსნო სასწავლებელში, რომლის ატმოსფერა არ შეეფერებოდა წომავალ ბელეტრისტის მისწრაფებებს. ნარ-დოსი ერთი წლის შემდეგ ეთხოვება სახელოსნო სასწავლებელს.

ამის შემდეგ ნარ-დოსი ეწაფება წიგნების კითხვას, ცდილობს შეავსოს თავის სწავლის ნაკლი თვითგანვითარების და თვითგანათლების საშუალებით, გამოდის სალიტერატურო ასპარეზზე.

1886 წელს ნარ-დოსის პირველი მოთხრობა სათაურით „ნამდვილი მეგობარი“ დაიბეჭდა ყოველდღიურ გაზეთ „ნორ-დარ“-ში (ახალი-საუკუნე). ამ მოთხრობამ და მისმა შემდეგმა მოთხრობებმა საზოგადოების ყურადღება მიიპყრა და ახალგაზრდა მწერალი ნარ-დოსი მიიწვიეს იმავე რედაქციაში სამუშაოთ. „**ბედმა მარჯუნა ტფილისში დარჩომა.**“ ამბობს ნარ-დოსი თავის ავტობიოგრაფიაში, „**და ჩავები გაზეთის მუშაობაში, საცა დღევანდლამდე ვასრულებ ერთავად მდივანის მეტად მოსახეზრებელ და დამალავ თანამდებობას.**“ ის ასრულებდა აგრეთვე სტილისტის, კორექტორის, მთარგმნელის თანამდებობას. საბჭოთა სომხეთის მთავრობამ გაანთავისუფლა ის ამ „დამალავ“ შრომისაგან. მას პენსია დაუნიშნა და საშუალება მისცა თავის საყვარელ საქმით ემუშავა სალიტერატურო ასპარეზზე.

ნარ-დოსის რომანებიდან და მოთხრობებიდან ცალკე წიგნებათ გამოცემულია: „ანნა საროიანი“, სიკვდილი, „მოკლული მტრედი“, „ახლად შობილი ბავში“, „ჩემი სახლის პატრონის ქალი“, „გაჭირვების დღეებიდან ერთი“ „შემოდგომის ერთ დღეს“ და „პაექრობა.“

საბჭოთა სომხეთის სახელმწიფო გამომცემლობამ 1926 წელს გამოსცა ნარ-დოსის მოთხრობათა კრებული „ჩვენი უბანი“ და ხელმეორედ გამოსცა „მოკლული მტრედი.“

ნარ-დოსი, თანამგზავრი, ყოფა-ცხოვრების მწერალი ძლიერ ცოცხლად ხატავს დუხჭირ კუთხეებს და უბედურ ადამიანთა ცხოვრებას. მას ეფექტები არ ესაჭიროება მისი ნაწერები ძლიერ სადაა, დაწვრილებით გამოკვლეული, თითქოს ფოტოგრაფიით გადაღებული სურათებია, გამოცდილი კალამი და მდიდარი ენით შესრულებული.

ნარ-დოსის უკანასკნელი დაუმთავრებელი რომანიდან ნაწყვეტები დაიბეჭდა საბჭოთა საქართველოს მწერალთა ფედერაციის სომხური სექციის სალიტერატურო მხატვრულ ორგანო „ლუსაბაც“-ის (განთიადი) ორ ნომერში. სომხის მშრომელი ხალხი ელის ნარ-დოსის ამ ახალ რომანს.

„**კ ო კ ო კ**“

ნარ-დოს

დაძველებული და გაცვეთილ ახალბიან ქამრით მორტყმული და სიმთვრალისაგან დაბეჭულ-დაწითლებული სახის ორმოციოდე წლის ჰასაკის მქონე თოფი ასატური, რომელიც მთელს უბანსა და ბაზარში ცნობილი იყო. ჰოპოპ-ის სახელით, საღამოს ჟამს თავის საქათმისოდენა პატარა დუქნის დაკეტვის შემდეგ, შინ ბრუნდებოდა. ერთ ხელში ნახევართუნგიანი დოქი ეჭირა, რომელსაც წლებების განმავლობაში წითელი ღვინისაგან ზედაპირი გაშავებოდა, ხოლო მეორეში—წითელი ხელსახოცი, რომელშიც გაკრული ჰქონდა ცოტაოდენი „დოში“, მცირეოდენი მწვანილი,

ერთი კონა წითელი ბოლოკი და ორი თეთრი „შოთი“, რომლის წვეტები გრძელ ყურებსავით ხელსახოციდან გარეთ იყო გამოშვებული.

ფეხშიშველ-თავშიშველი და ქუჩყიანი ბავშვები დარბოდნენ და ჟივილ-კვილით აყრუებდნენ მიდამოს. ჰოპოპ! წამოიძახა უეცრად ერთმა ბავშვთაგანმა.

ჰოპოპმა სრულიადაც არ მიაქცია ყურადღება ამ წამოძახილს, რომელიც, როგორც სჩანდა, მეტად ჩვეულებრივ ამბათ იყო ქცეული მისთვის და ხმის გაუცემლად განაგრძობდა თავის გზას. ოფლი უჭრწურით ჩამოსდიოდა

ქულის ქვემოდან, ყურებს უკან, და წვეთწვეთად ეპკურებოდა გახუნებულ მხრებს.

—ჰოპოპ... ჰოპოპ...— დასძახა მეორემ, მესამემ, მეოთხემ... და ბოლოს ეს ცალკე წამოძახილი შეერთდა და საერთო ალიაქოთად იქცა;

დიდხანს ვერ მოითმინა ჰოპოპმა. წინ მიმავალმა უკან მოუხედავით, იწყო საოცარი გინების ნთხევა მღვეარი ბავშვების მიმართ.

ბავშვებიც თითქოს ამას ელოდნენ, ასტეხეს მთელი ორომი-ტრიალი. ზოგმა მათგანმა ქვებიცი დაუშინა ჰოპოპს.

ჰოპოპი მიდიოდა თავისთვის, არც კი ზრუნავდა თავის დაცვას, ფუძე კარგათ ხედავდა, რომ უკან მოზუზუნე ქვები უქროლავდნენ. იგი განაგრძობდა თავის გინებას, ეტყობოდა, რომ სახლამდე ასე უნდა განეგრძო მას თავისი გზა, ქვა რომ არ მოხვედროდა ფეხზე, ფეხი მწარედ ეტკინა, რაც იქიდან სჩანდა, რომ იგი სწრაფად შედგა, თვალის დახამხამებაში დადგა ღვინიანი ღოჭი და ხელსახოცი, აიღო მოდილო ქვა და სისხლავსილი თვალეებით ემზადებოდა ბავშვებზე იერიშის მისატანად. მაგრამ მის მომზადებაზე ბავშვებმა დასკვივლეს, იბრუნეს პირი და გაიფანტნენ მიხვეულ-მოხვეულ ქუჩებში.

აი, მე თქვენი... რომ შეჩერებულიყავით. ქვით გინდათ ჩხუბი? დე ვიჩხუბოთ, სადღა გარბინართ? მე თქვენი... ფუი გავლაც აღარ შეიძლება, გავლაც!

დაავლო ძირს ქვა, მოიწმინდა ოფლიანი შუბლი, ჩააქნია ხელი, დაიხარა ძირს და გინების შეუჩერებლად ფეხს დაუწყო ხელის სმა იმ ადგილას, სადაც მას ქვა მოხვდა.

ჰოპოპმა შეუხვია თავის ქუჩაზე. კარებთან მჯდომ ქალებთან ახლოს გავლისას ერთმა ახალგაზრდა ქალმაც გასძახა მას:

ჰოპოპ!
მოცინარემ მსწრაფლ ამოაფარა თავი გვერდით მჯდომ ამხანაგს. ამაზე სხვებმაც გადინხარხარეს, გარდა ერთი დედაბრისა, რომელმაც ამხილა კიდეც დამძახებელი.

ჰოპოპს არ მოუხედაია უკან, მხოლოდ შეიგინა და გზა განაგრძო.

იგი სახლში მყოფი უჯდა სუფრას, ღვინიანი ღოჭით, და თურქულ ბაიათს მღეროდა ჩახლეჩილი ხმით, უბნის დედაკაცები, რომელთაც განსაკუთრებულ მზიარულებას ანიჭებდა მისი იშვიათი გინება, აგულიანებდნენ ვინმე ცულღუტ ბავშს, რათა წასულიყო და გაეღიზიანებია ჰოპოპი. ბავშიც წამსვე გარბოდა, ფრთხილად შეყოფდა თავს სახლის კარებში, დასძახებდა „ჰოპოპს“ და მალევე გაიპარებოდა კურდღელსავით და ეს ერთერთი სიტყვა იყო, რომ ჰოპოპს უშხამავდა ქეითს. იგი მყისვე წყვეტდა ბაიათს, გამოვარდებოდა გარეთ და მთელი უბანიც გარს შემოერტყმოდა.

ვერავის ეგუებოდა ჰოპოპი, ბაზარსა თუ უბანში არც ერთი მეზობელი არ გადაჩა, რომ არ წაჩხუბებოდეს და რომელთაგან არ ეგემოს ცემა. ცოლთან ხომ ყოველდღე ხელჩართულ ომს მართავდა, იგი ცოლს ცემდა და ცოლი მას.


ჰოპოპი რომ ლოთი იყო, ეს ცხადია, არაყი არ უყვარდა, წარტო ღვინოს სვამდა, იმასაც წითელს და კარგს, წვნიანი საჭმელი არ უყვარდა, სამარხო სძაგდა, მეტადრე ლობიო. მისი ჩვეულებრივი საჭმელი მსუქანი ღოში, ხიზილალა, მწვადი, ქორფა მწვანილი, წითელი ბოლოვი

და თეთრი პური იყო, ხოლო შედარებით ასეთი ძვირი საჭმელების შესაძენი ფული მუდამ ჰქონდა, რადგან თავის ხელობაში კარგი ოსტატი იყო და იმდენად დახელოვნებული, რომ შეეძლო რომელიმე გროზად ღირებულ დაუქანგული ხმალი, ხანჯალი ან თოფი ასი წლის სიძველის მქონე, ნივთის ადგილს მიეყიდა ძალიან კარგ ფასად ევროპიელი ტურისტისათვის.

ღვინის ხელღოჭი, რომელიც მის ხელთ შეენიშნეთ, ემსახურებოდა მას უკვე 15 წელზე მეტს. დილაობით ცარიელი მიჰქონდა ღუქანში, საღამოს კი სავსე მოჰქონდა უკან. იმდენად უყვარდა იგი, რომ შაბათობით, საღამოს ჟამს, დაცლის შემდეგ, სანთელსაც კი ანთებდა მასზე. „ბარაქა მასშია“, — ამბობდა იგი.

როცა ჰოპოპი შინ მივიდა, ცოლი არ იქ დახვედრია. გარეთ, სახლის კედლის უკან ბურბუშელასაგან სახლს აშენებდა მისი ბავში, მოკლე და ჭუჭყიანი პერანგს გარდა მას არა ეცვა რა.

- სად არის დედა-შენი? —ჰკითხა მამამ.
- ბაგრატანთან—მიუგო ბავშვმა.
- ჰოპოპის თვალეებში ცეცხლი აღიგზნა.
- კიდევ?... ოი, მე მისი... —შეიგინა იგი, სასწრაფოდ



ჰოპოპი მიდიოდა თავისთვის, არც კი ზრუნავდა თავის დაცვას.

შევიდა შინ, ღოჭი და ხელსახოცი ტახტზე დადვა და კვლავ მიუბრუნდა ბავშს,—ამ წუთსავე გასწი და დამიძახე, თორემ...

ბავში დასაძახებლად გაიქცა. ჰოპოპი ჯავრობდა: მე შენ გიჩვენებ ბაგრატანთ სახლს... ასატური მომკვდარა? ჩემს ცოლს სხვები ეკურაკურებინან?... ჰოპოპად რომ ვიქეციოთ, განა ნამუსიც დავკარგეთ.

მოიძრო ქული და რაც ძალი და ღონე ჰქონდა ძირს დასცა. მერმე განაგრძო გინება და მუქარა ცოლის მიმართ, შეიხსნა ქამარი, გაიხადა ახალოხი, ფეხსაცმელი და აყროლებული წინდები, შალვარი და კარებში ჩამდგარმა იწყო ჩითის მოკლე პერანგის კალთების ქნევა წყლად ქცეული დაოფლიანებული სახისა და მუცლის გასაგრილებლად

მოუთმენლად ელოდა ცოლს, მაგრამ სანამ ცოლი მოვიდოდა, იგი გულგაცეცხლებული მიუახლოვდა ღოქს, გადაუგდო თავი და მოსწია ხარბად. დაწყურების შემდეგ თავის ადგილას დადგა ღოჭი და ხელსახოცის გაუხსნელად ერთ-ერთ შოთს წვერები წაატეხა, აივსო პირი და იწყო ღეჭვა.

დედის მოსაყვანად წასული ბავში ტყვიასავით შემოიჭრა შინ.

—მოვალო —უთხრა მან და ახლა თვალეები მამის ბავშვებს მიაჭყიტა.

მიწისძვრა სოხეთში.

27 აპრილია, გაზაფხულის თბილი და საამო საღამო. ნახჩევანის ს. ს. რ. სოფლებში ხალხი ზეიმობს საბჭოთა-აზერბეიჯანის 11 წლის თავს.

საბჭოთა სომხეთის სოფლებშიც ასეთივე ზეიმი. თითქმის ყველა თავმოყრილია საზეიმო კრებებზე. ყველა ხარობს, საღამოს ბინდი ვერ ანელებს დღის შრომით გამძლარ მუშების და გლეხების საერთო ჟრიამულს.

გაზაფხულის ნოყიერი ბალახით გამძლარი პირუტყვი ზანტათ იცოხნის, აგერ ხბო ხარბათ ჩაჰკვრია დედის ჯიქანს...




მიწისძვრისაგან უბინოდ დატოვებული მცხოვრებნი

უეცრად... ჯერ საზარელი გუგუნე დედამიწის გულიდან, შემდეგ ერთი მეორეზე მიყოლებული მძლავრი ბიძგები, საშინელი გრიალი და... აგერ მოირღვა მთა, წამოვიდა კლდე, ქალაღის ხუხულასავით ჩაიკეცა შენობები, აბლავდა პირუტყვი, ატირდა ბაეშვი, აწიოკდა ქალი თუ კაცი, ხნიერი თუ ახალგაზრდა... ყველაფერი აიზილა ერთმანეთში... და ბოლოს თოვლი, ქარი, ყინვა.

ერთი სიტყვით, ენით აუწერელია ის უბედურობა რაც სომხეთის მშრომელ გლეხობას დაატყდა თავზე.

სოფლები: ნასირვაზი, უსტუფი, ფარაღა, ხურსტი ვუს-ნუსი და სხვა კიდევ ბევრი მთლად აღიგავა დედამიწის პირიდან.

მცხოვრებნი დარჩნენ უსახლკაროდ, ვერ ბედავენ დანგრეულ სახლებში შესვლას, რადგან მიწის ძვრა ისევ გრძელდება. აგერ ერთი კვირაა, რაც საბნებში [და ძონ-



ნანგრევებად ქცეული შენობები

ძებში გახვეული ათენებენ გარეთ სიცივეში. ყველა სასო-წარკვეთილებაშია.

ქალაქი ორდუბათი აღარ არის, ის რაც იყო-მთლად ნანგრევებათაა ქცეული, დედა-მიწამ შთანთქა მთელი სახლები, კედლები, ქუჩები, ჩამოწოლილმა შენობებმა დაიტანა მცხოვრებნი; მსხვერპლი დიდია, ამ უბედურებამ ბევრი გადარჩენილი სიგიჟემდე მიიყვანა:

სოფ. ნურჯათში მოხუცი გლეხი-ქალი გათენებიდან დაღამებამდე დაეძებს ნანგრევებში თავის დაკარგულ ორ შვილს, სოფ. აზში კოლმეურნეობის თავმჯდომარეს წაერთვა ფეხები—სიარული აღარ შეუძლია, სოფ. ბისტში გაგიჟებული გლეხი ადის მთაზედ იქ აგორებს კლდის ლოდებს და ბევრი სხვა ასეთი.

შემოვიარეთ სოფლები—ყველგან შენობები თითქმის 100%-ით დანგრეულია.

პირველი დახმარება დაზარალებულ მხარეს გაუწია საბჭ. ნახჩევანის წითელ ნახევარ მთვარის საზოგადოებამ. დიდხანს არ ახანეს აგრეთვე სომხეთის და საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებებმა, რომლებმაც თავისი რაზმები მაშინვე მიაშველეს მთიან ადგილებს, მიუხედავად წვიმისა, თოვლისა და სიცივის. მიუხედავად უგზოობისა, საექიმო დამხმარე რაზმები ცხენით თუ ფეხით მოედნენ სოფლებს და საექიმო დახმარებას უწევდნენ დაჭრილებს, ურიგებდნენ მოსახლეობას ტანსაცმელს, კარავებს, სურსათს და ფეხსაცმელს.



მიწისძვრას გადარჩენილი ოჯახი.

მომე რესპუბლიკათა ამ დახმარებამ დიდი სიმხნევე შეიტანა მოსახლეობაში.

ჩვენ ერთხელ კიდევ დავრწმუნდებით,—ამბობენ ისინი,—რომ საბჭოთა ხელისუფლება ჩვენი ხელისუფლებაა და იმედი გვაქვს, რომ მასთან ერთად შევძლებთ დანგრეულ სოფლების აღდგენას.

და, მართლაც, მიუხედავად ასეთ საშინელ სტიქიურ უბედურობისა, მოსახლეობა იმდენად გამხნევეულია მოძვე რესპუბლიკათა დახმარებით, რომ არ ივიწყებენ საგაზაფხულო თესვის ჩატარებას, არხებისა და გზების გაწმენდას და გულმოდგინეთ შეუდგენ დანგრეულ სოფლის აღდგენას.

მაგრამ საჭიროა, რომ მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობა ჩამუხილი იყოს დაზარალებულ მოსახლეობისათვის დახმარების გაწევის საქმეში. მარტო ა/კ მთავრობის დახმარება არ კმარა.

ილუპება ხალხი, დავეხმაროთ მათ!—ეს ოთხი სიტყვეს უნდა გახდეს ყოველი ჩვენგანის ლოზუნგი.

ედგარ შმერდინგი.

ჰმმ... — ჩაიბურტყუნა ჰობოპმა, პურის ლეკვით და ხელი კვლავ დოქისაკენ წაიღო.

ამნაირად დოქი რამდენჯერმე მოიყუდა პირზე, სანამ ბოლოს კარის ზღურბლზე არ გამოჩნდა ცოლი.

— აი, მეც მოველ, რა გნებავს? — უთხრა მან გაბედულად.

— რა გნებავს? — მიუგო ჰობოპმა, რომელსაც ის იყო



ცოლთან ხომ ყოველდღე ხელჩართულ ომს მართავდა.

დოქისათვის კვლავ მოუღერებია ყელი, დადგა დოქი ტახტზე, პერანგის საყელოთი მოიწმინდა ტუჩი, მიუახლოვდა, წაავლო ხელი ცოლს.

- სად იყავ?
- ბაგრატანთსა!
- იქ რას აკეთებდი?
- რა უნდა მეკეთებია? სარეცხი ჰქონდათ, დამიძახეს.
- სარეცხი?... სარეცხი? აი, მე შენი... უბატრონო, მუდრეგი და მშიერ-ტიტველი დარჩენილხარ, რომ სხვებს სარეცხს ურეცხავ?... განა მე ქვეყანაზე აღარა ვარ, ჩემი თავი ძაღლებსა და მგლებს უჭამია? ანდა ჩემმა ცოლმა რისთვის უნდა რეცხოს სხვისი სარეცხი? ააა? ან ბაგრატა ვი? ძაღლია, რომ ჩემი ცოლი წავიდეს და მას სარეცხი ურეცხოს, ბაგრატისნაირებს ასს ვიყიდი და გავყიდი და ჩემი ცოლი უნდა წავიდეს და მას სარეცხი ურეცხოს? მართალი თქვი, მასთან საროსკოპოდ იყავი წასული, არა?... განა ტყუილია?...

ცოლმა გაინთავისუფლა ხელი და მიაქოლა— იი, დამიწდეს შენი გიჟი თავი— უთხრა მან ზიზლით და გაბრუნდა გარეთ გასასვლელად.

მაგრამ ქმარმა წაავლო ხელი მხარში და არ მისცა ნება ადგილიდან დაძრულიყო.

— დადექ— დაუყვირა მან, — სად მიხვალ, რომ მიხვალ? განა, მკვდარი ვარ?... მკვდარი ვარ?... მკვდარი?...

და „მკვდარი ვარ“ — ყოველ თქმაზე მწარედ სცემდა მუშტით ცოლს, ცოლს ცალი ხელი ბავშვისათვის მოეხვია, თავი ჩაელუნა, მეორე ხელით კი ცდილობდა წაეფლო ხელი ქმრის ხელისათვის და თუ ზოგჯერ ამას კიდევ ახერხებდა, ეს ჰობოპს უფრო აცოფებდა, და შემდეგი მუშტებიც უფრო დაუზოგველი იყო.

— გიჟო, ჰობოპო — რა გინდა ჩემგან ეძახდა მტირალი დედაკაცი.

ძუძუს ბავში წოვდა მის ილიაში, ხოლო მეორე ბავში განზე გამდგარიყო და თვალს ადევნებდა.

— მე ახლა ჯოხითაც გცემ, ჯოხითაც, იწყო ოთახში აქეთ-იქით ჯოხის ძებნა, ვერ იპოვა ჯოხი, მაგრამ სამაგიეროდ თავის ფეხსაცმელები მოხვდა თვალთ. წაავლო ცალს ხელი, რომელსაც ქუსლზე თავმოგრეხილი ლურსმე-ბით სქელი ნალი ჰქონდა დარტყმული.

ამასობაში ცოლმა ბალლი ტახტზე დასვა, გაიმართა წელში და ხელი წაავლო ღვინიან დოქს.

— აბა მცემე, მცემე, დანახავ თუ ამ დოქით რა დღე დაგაყენო — მიძახა ცოლმა უშიშრად და მუქარით.

— ოი, მე შენი... — დაიღრიალა ჰობოპმა, გაავლო ფეხსაცმელი და მიიჭრა დოქის წასართმევად.


მაგრამ ცოლმა არ აცალა ხელში ჩავარდნოდა, გაიძრო ჩუსტები და გარეთ გავარდა დოქით ხელში.

დაედევნა ჰობოპიც.

და ქუჩაში — სადაც უბნის ქალები და ბავშვები მათ ხმა-ურობაზე უკვე შეგროვილიყვნენ ჩვეულებრივი სეირის საცქერად, გარბოდნენ კაცი და ქალი, წინ დედაკაცი, დოქით ხელში და უკან მამაკაცი, თავშიშველ-ფეხშიშველი და საცვლების ამარა.

ქუჩაში გამოუთქმელი ჟრიამული ატყდა. ქალები ხარხარებდნენ, ბავშვები წვრილი ხმით „ჰობოპს“ გაიძახოდნენ და სტვენდნენ, ხოლო უბნის საწვრიმალ დუქნის წინ მდგომი მოწიფული ბიჭები სიცილ-ხარხარით ღრიალებდნენ: „დაეწიე ჰა, ჰობოპ, დაეწიე“...

ამ საშინელ ჟრიამულში მისდევდა ცოლს ჰობოპი, რამდენიმე ნაბიჯი და რჩებოდა, ქმარი უნდა დასწვოდა ცოლს, რომ უეცრივ შეუჩერებლივ ცოლს არ აეწია ხელი და ძლიერი დარტყმით არ დაეხალა ძირს დოქი. დოქი გატყდა და ვარდისფრად ეპკურა მიწას ღვინო.



ქვა სწრაფად ცოლს მოხვდა.

ჰობოპი აცახცახდა და შედგა უეცრივ, ეგონა, თითქოს თვით იგი დახარცხეს მიწაზე. თვალები დაუბნელდა. აღარ იცოდა, თუ რას ჩადიოდა, სწრაფად დაიხარა ძირს წაავლო ხელი დიდ ქვას და უკიდურესი სიბრაზით აღსავსემ მიაყოლა გაქცეულ დედაკაცს.

ქვა სწრაფად ცოლს მოხვდა. დედაკაცმა სასტიკად დაიკვილა, უნებურად წინ გაიქცა, კიდევ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და გაიშლართა.

მოხარხარე ქუჩა უეცრივ დაღუშდა და გაქვავდა.

საგჳოთა მწარლავის დელეგაცია სოხხეთში.

გრიგოლ ორბელიანი
ასე იწყებს „სადლეგრძელოს“
ანუ

— ომის შემდგომ ღამე ღზინს
ერევნის სიახლოვეს...
— შეწყდა ბინდისას ომი საზარი.
დადუმდა არე, სად ჰქუხდა ბრძოლა.
გამარჯვებული მოიღზენს ჯარი.
ურღო ცეცხლებით განათებულა...

— დაინგრა მაშინ ერევნის ციხე,
და გაიპარა მისი სანდარი.
მაგრამ დიდი ხნით აღარ ჩამქრალა
აქ დანთებული ომის ღადარი.

ამ ხეობაში აქამდე ჰყრია,
დაუმარხავი ღტოღვიღთა ღეში.
წვიმა აწვიმებს და თავზე ათოვეს
უღაბნო ქართა სიღა და ხრეში.

და თუ არაქსი ასე ხმაურობს,
ობღების ცრემლიც მიმატებია,
მამა სწყვეღიღა იმ გაჩენის დღეს,
როცა შვიღები ღაბადებია.

ბარად ურჯუღო მტერი მუსრავღა,
ხეღს უთავებღა მთებში ზამთარი
და მშიერ ღანღებს უკან დასდევღა
გათამამებულ აფთართა ჯარი.

მიწის ჯურღმულში გათხრიღი სორო
უფრო გარეულ მხეცის ბუნავი
აქ კაცს მიანღდა თავის კერიად,
მაგრამ დაადღა თავზე მსუნავი,

გახეღავ სოფეღს ცეცხლი ეღება
და აწიოკებს ყვეღას ერთბაშათ.
ცეცხღის გმირია ყარა-ბექირი,
ამ ხეღობისთვის უწოღეს ფაშა.

განა თუ მარტო ოსმაღო სწვავღა
ყვეღა მეზობღებს შიგნით და გარე
არ დაუკღიათ ხოცვა და ჟღეტა—
ასე უთხრიღა ძმა ძმას სამარეს.

და კაცს ეგონა ეს სისხღის წარღვნა
მღღიღან იყო გადმოღვენიღი.
მაგრამ სხვა კაცი მაშინ გამოჩნღა,
და ეს სხვა კაცი იყო ღენინი.

დღეს აღარ ერჩის სომეხი ქურთსა
სომეხს ქართვეღი ყვეღა თათარი...
ეროვნულ შუღღის ძირი რომ ახსნას,
იქ პიონერიც უკვე მზათ არის.

და უკრავს მშვიღად მწყემსი საღამურს
პიონერების ისმის დღეღაფი.
და ისტორიის სიზმრათ გადადის
ერევნის ხანი ირაკღი თაფა.

ჩვენ ვართ თაობა იმ თაობისა,
არ აუღია, რომეღსაც ყარსი.
მაგრამ საგმიროთ სხვა ბევერი საქმე,
მათ დაეთვეღებათ ბევერი ათასი

ვართ მოკავშირე იმ თაობისა,
რომეღსაც მარტო სწამთ კლასთა ომი.
ბევერს ჩაეშაღა შავ-ბნეღი ზრახვეა,
და წაუხდინეთ ბევერსაც ნახტომი.

ეს ის ადვიღია, საღაც
გრიგოლ ორბელიანი
სწერღა თავის „სადლეგრძელოს“
ანუ

— ომის შემდგომ ღამე ღზინს
ერევნის სიახლოვეს...

ჩვენც ერევნის ვართ სიახლოვეს
ვზივართ აქ ერთად სარღარის ბღღში.
ახალი ისმის აქ სადლეგრძეღო,

უფრო ახალი ვაშა და ტაში.
ჩვენ კავკასიის ხაღხთა პოეტებს
ერთი გზა გვაქვს და ერთი მანძიღი.
რომ სოციღლიზმის აშენღეს ფუქე


და ხაღხს ეღირსოს მშვიღღობის ძიღი.
ვინც თვაღით ნახა ქვეყნის დაქვევა
და ავსებულღი ხევები ძორით,
ნახა რომ იქცა ვეღურ უღაბნოთ,

ვეღი მორწყული ოფღით და შრომით.
ნახა ამ ექვსასს ვერსზე გაკრიღი
ეს სასაფღაღო და ეს უღაბნო:
განა არ გვამართებს, ამხანავებო,
რომ სხვა თაობას ჩვენ ეს უამბოთ?


და არ იქნება ეს სადლეგრძეღო
ეს ცრემღი არის და ჟრუანტეღი.
სხვა რომეღ ქვეყნის მგოსანს ექნება
მიზანი, აზრი უფრო ნათეღი.

საღამური, რომ, საღამურია
ხაღხი იმითაც ცრემღებს იხოცავს.
ამხანავებო! ვსთქვათ ის სიმღერა
რაც ხაღხს იმეღის სხივებით მოსავს.


საზოგადოებრივი ნაპირის მშენებლობა




აჭარისტანი. ნავთის მშენებლობა.




ბათუმის ახლოს შენდება ახალი ქარხანა, რომელიც ნავთს დაჰყოფს სხვა და სხვა ხარისხებად.




აჭარისტანი. „დუსეკვიპეს“ სისტემის ნავთის საწმენდი ქარხანა.



აჭარისტანი. „ვენკლიარკობის“ ბენზინის ქარხნის საერთო სანახაობა



ბათომი. ნავთის საქაჩავი ახალი ქარხანა.



პირველ მაისის დღესასწაულზე მოსკოვში

საქართველოს
საზოგადოებრივი მშენებლობის
თავიდან

ჯერ კიდევ ღამის ნაკვალევი არ გამქრალა, მუშათა უბანი კი ახმაურდა. სახლებიდან გამოდიან მუშები და უერთდებიან ქუჩებში უკვე გამოსულ ამხანაგებს. უბანი ირხევა ამ საერთო მოძრაობით, შუქი ეფინება ახლად გამოღვიძებულ შავად გამურულ სახეებს, აყვირებულ: ქარხნებს, საამქროებს და დაზგებს.

მიდამო რაღაც უცნაურად გამოიყურება დღეს, თითქოს არ მოსწონს მას, რომ ასე გამუდმებით ვაკვივან ქარხნის საყვირები და ასე ლაღად იშლება მიღებიდან ამოვარდნილი ბოლი. მერე ეს ბოლი ადის მაღლა და ცაში იმართება ვეებერთელა გორებად დახვეული თითქოს ვინმეს სახანძრე კიბე ავიართოს მაღლა.

ასეა, სანამ სულ არ შეაყვირებს თვითთელი მუშის ოჯახში. ასეა, სანამ სველი და მურიანი შხეფები არ დაეხმება მუშათა სახლების სახურავებს.

ასეა ამ დილითაც, ყვირიან ქარხნები, ისმის მათი გუგუნე. ხან გამოშვებით ეს ხმები ძლიერდება, აიწვევს მაღლა, ხან კი წამოეხმარება უფრო წვრილი ხმით სხვა ქარხნები, მაგრამ ეს არ გავს ორთქლმავალთა შემეკეთებელ ქარხნის უცნაურ ბარიტონს, ლულუნს, რომელიც ხალისით სავსე მოწოდების ხმად მიდის შორს, ის არ გავს მის მოსაზღვრე ქარხნების საყვირის ხმას და იგი არც აყუდში დაყენებულ ორთქლმავალთა გამძაფრებულ კივილს მოგავგონებს.

ამ მოწოდებით იტვირთება მუშათა უბანი. ყოველი მუშა გრძნობს, როგორ ემატება სიცოცხლე იქაურობას. თვალები იძირება მუშებით ახმაურებულ ქუჩებში. ქარხნის ბოლით ჩამოშავებულ გარემოში ბზინავს მუშების მაზუთის ფერი ტანსაცმელები: თითქოს ეს შარვალი და ეს ხალათი წუხელის მაზუთის ტბაში ყოფილიყოს ჩამბალი, რომ გამურულა და მაზუთის სინოყვირით გაპოხილა?

და ასე გაკვირვებული დარჩებით, სანამ არ შეიხედავთ იმ ქარხანაში, სადაც ეს ადამიანები დაზგებთან მუშაობენ.

თვალები ფართოდ გაახილეთ: ეს ტყე ხალხი შეიქრა ორთქლმავალთა შემეკეთებელ ქარხანაში. აბა კარგად დაუკვირდით: აი როგორ ნაწილდება ეს უთვალავი მაზუთის თვალემა მუშები ქარხნის შესავალთან — რატომღაც უმრავლესობა იქვე ახლოს გრძლად გაწოლილ საამწყობრო საამქროში შედის.

ამბობენ, ეს საამქრო მთელი ქარხნის გულია, რომელზედაც ძარღვებივით კიდეა დანარჩენი საამქროებიო.

და მართლაც ამ საამქროს დაზგებმა დაისაკუთრა ათასზე მეტი მუშა. სამაგიეროდ მუშებიც დაეუფლენ საყვარელ დაზგებს, იარაღებს, ქურებს; დარღვეულ ორთქლმავალთ ნაწილებს და ქარხანა იესება ხალხით, რომლის რიტმი თვითთელს უწივის ყურში, ტკბილ და სასიამოვნო ხმებად.

ამ საერთო შრომას ჯერ არ შემოერთებია ყველა მუშები. ამიტომ დაზგები გულდაწვეტილი მოელოდენ საყვარელი პატრონის ხელის შეხებას და მათ მოლოდინში საამქროში შემოჭრილ სინათლეზე შავად ბზინავდენ. დაზგების მუხლებში გროვდებოდა სიმაგრე, რომ მუშების მოსვლისთანავე შემოხვეოდენ მათ ირგვლივ და მარჯვედ, ღონივრად მიგებებოდა იარაღები ხელში.

აი ცოტა დაგვიანებით, მოვიდნენ, თვალები დაწითლებით უძინრობით, სახეები კი გაყვირებულია გულშელონებულებივით. მოვიდნენ, მაგრამ რაღაც შფოთვა აღღევება ეტყობათ.

დაზგებთან დაყრილ ორთქლმავლის ნაწილებზე დიდი განცხადებაა გაკრული. ერთი შეჩერდა, გაფითრდა, მეორეც შემოემატა, მესამეც და მახლობელი ბრივადები გაჩნდა ამ დაზგასთან. განცხადებამ კი მოწოდების ხარისხით შეარხია მათი სხეული.

ამ დაზგაზე მომუშავე ხელიხოვს არ სჯერა; თითქოს ბეცი იყოს: სათვალეები გაიკეთა და ისე წაიკითხა; ჯერ თვალეები გადაავლო, მერე კი ხმამალა: — „შესარულეთ თუ არა პირველი კვარტალის გეგმა? გეკითხებიან თქვენ ტულის მუშები. არა! არ შევისრულებით და ახლაც ჩამორჩენილი ხარ, ამიტომ გეძახით: გესმით! დამნაშავე ხართ თქვენ, ამხანაგებო! ხელიხოვ, შენ შეაფერხე ნუმერი ექვსი — თვრამეტის საქვამოს მუშაობა“

ხელიხოვმა კიდევ გადაიკითხა და რეტდასხმულივით დაიხია უკან. რამდენადაც შორდებოდა ხელიხოვი ამ განცხადებას, იმდენად იზრდებოდა მის წარმოდგენაში და თვალეებში ეს უბრალო ქალღი, მაგრამ მასზე ამოქარგული სიტყვები კი მას უბრალოდ არ ეჩვენებოდა და მისი ფიქრები იწვევებოდა ქარხნის კივილით.

მან ქურდი კაცივით მიმოიხედა, არვინ მიყურებდეს რომ საამქროს კედლებზე საჯაროდ გამომაკრესო. უნდოდა მისთვის იმ წუთში არავის შეეკვრიტა, მაგრამ ყველა მას მისჩერებოდა თვალეებში რაღაც უცნაური ღიმილით, ზოგი კი უცნაური წყრომით, რომელშიაც ხელიხოვი ხედავდა დატუქსავასა და გაკიცხვას. ხელიხოვმა მარჯვნივ გაიხედა და დაინახა, რომ მისი ამხანაგის დაზგასთანაც გაუკრავთ ასეთი განცხადება:

— „სეროკ, სწორედ ვერ აიღე ბუქსის ზომა, ორთქლმავალი ნუმერი ექვსი ოცხდაცხრა“.

ეხლა კი სეროკის ფიქრებშიც შემოიჭრა ამ განცხადების აზრი ორთქლმავლის ყვირილივით. მან დაიშორჩილა სეროკის ყურადღება, სეროკმა ჩამორჩენის გამო საშინელი ტკივილი იგრძნო საკუთარ გულში.

ხელიხოვს ნაწილობრივ შაუშუბუქდა ამ ერთ წუთის წინ უეცრივ შემოწოლილი სიმძიმე, რაც ამ პატარა ქალღეზე შავად მოხაზულმა გამოიწვია.

სეროკმა მიმოიხედა და მანაც მიაპყრო თვალეები მისი ამხანაგის დაზგას, რომელსაც პირდაღებული აშოთი დასცქეროდა და კითხულობდა.

„აშოთ, სწორად ვერ გაჩარხე პოდშინიკები ცამეტის მაგიერ ორმოცდაორია“ ხუთას თვრამეტის და ათას ორმოცის სახელობის საინიციატივო ჯგუფის მიმყოლი ბრივადა.

* *

მთელს საამქროში ამ სამმა განცხადებამ ყველას აგრძნობინა, რომ საწარმოო საფინანსო გეგმას გარღვევა მოეღის. ამიტომ ყველა ხარბად დაეწაფა ტულის მუშების მოწოდებას. მოწოდების თვითთელი სიტყვა, თვითთელი წინადადება რაღაც უცნაურად იჭრებოდა ამ ქარხნის მუშებში და განუწყვეტელ შრომის რიტმში უფრო აღვივებდა და ატალღებდა შრომის ენტუზიაზმს, რომ ტემპებს არ დაეკრა მათთვის წინსვლის დენი და არ გამოვარდნილიყო მათი ქარხანა ხუთწლედის მძლე შენობიდან კარგად შეუკრეულ აგურით.

ამიტომ გუგუნებდა საამქროს თვითთელი ქურა, დაზგა, ბრივადა და დამკვრელი. ამიტომ ყვიროდა საამქროების ბუქსირზე ამყვანი ბრივადა. დამკვრელები ღრმად განიცდიდენ ამ მოწოდების სიდიადეს, მათ სხეულში რომ შემოსულა ციების ბაცილებივით.

იგი ახალისებს მათ გულებს, იგი ამხედრებს მათს გრძობებს და შრომის განცდებს, გარღვევებისა, ჩამორჩენისა, ზარმაცობისა და სიმუღიანტობის წინააღმდეგ. და იძახოდა საამქროებში დამკვრელი ბრიგადის ხელმძღვანელი:

— ხუთწლედის გმირებო! — ეს ხმები ცეცხლივით გაბრწყინდა და აქუხდა ქარხანაში — ჩვენზე დამოკიდებული წარმოების ბედი, ჩვენვე ხელებით შეგვიძლია ზურგიდან ლახვარი ჩავსკეთ საწარმოო-საფინანსო გეგმებს, გინდათ გახდეთ საკუთარი თავის მკვლელები?! გირჩევნიათ სიცოცხლეს გეგმების ჩაშლა? მაშინ ხომ უნდა დავსწყუდეთ ყველანი ერთად, რომ ჩვენი საამქრო გამოწყდეს ამ ქარხნის სხვა საამქროდან? მაშინ ხომ უნდა ამოვივსოთ თვალები ამ მურით და ამ ჟანგით? ჩვენ გვეძახის ტულის მუშები: ვიყოთ მზად წარმოების ფრონტზე გაშლილი ტემპებისათვის. არ ჩამოვრჩეთ სხვას, ამიტომ არ დაინდოთ: სიმუღიანტები, ზარმაცები, წამგლეჯლები და ცრუ დამკვრელები. ისინი წარმოების მოღალატეები არიან! დასცხეთ მათ: თავში, კბილებში, სახეში, ფეხებში და სადაც გინდათ, მაგრამ არა ხელით, არა რკინა-ფოლადით, არამედ თქვენი შრომით, დატრიალებული ტემპების ძალით.

ამ მოწოდებაში ისმოდა მთელი ქარხნის მუშების სულის თქმა, მოძრაობა, მოქმედება და კიდევ ბევრი რამ, რომელიც მათ გაბრწყინებულ სახეებში ჩაწოლილიყო ნახშირისფერ მურთან და რკინის მტვერთან ერთად.

ხელიხოვი თავს მალლა არ სწყევდა. წარბშეუხრებლად მუშაობდა. მისთვის მეტად საწყენი იყო, რომ მას დღეიდან სულ სხვანაირი თვალებით დაუწყებდნენ მზერას: საამქროს მუშები, იარაღები, დაზგები, რკინები და შესაკეთებლად შემოყვანილი ორთქლმავალები, რომლებიც მოეღიან მის ხელს, რომ შეაკეთოს მისი გვერდები, ბორბლები, ქვაბები და მერე კიდევ იჯირითოს გახუწყვეტლად ბაქოდან ბათუმამდე. ზილოს: ნავთი, მახუთი და ბენზინი, რომლებიც ხუთწლედის ძარღვებში ჩამდგარა სისხლივით.

ხელიხოვიც დარწმუნებულია, რომ ის გამოასწორებს დანაკლისს. თავის დაზგაზე დაწყობილ მანქანებს მალე შეაკეთებს, მერე ორქლმავალის საერთო სხეულში შეიტანს მას, როგორც მთავარ ხერხემალს და ეს უზარმაზარი გერმანული სისტემის ორთქლმავალი გამოიტანს უფრო მეტი რაოდენობით და უფრო მეტი სიძლიერით ბაქოს სარეწაოებიდან ნავთს და შეიტანს ბათუმში, რომ ააესოს ვეებერთელა მუცლიანი გემები, რომლებიც ზუილით შევა ევროპის ქვეყნებში და შეიტანს საბჭოთა დოვლათს დეტერდინგის გულის მოსაკლავად და მის თანამგრძობთა დინგების მიწაში ჩასაფლოებად.

ამას ხელიხოვი ისე განიცდის, როგორც ქართველი ემიგრანტი ბრიანის თბილ მოპყრობას, რომელსაც თან ახლავს ფულები, გახრწნილი ცხოვრების ფსკერზე აყროლებული შრომის სუნი და სისაძაგლის დაგუბებული ტბა.

კომკავშირელებმა გადასწყვიტეს გეგმის გარეშე გამოუშვან ერთი ორთქლმავალი.

უჯრედის მდივანმა შემოიარა დაზგები, შეატყობინა კომკავშირელ მუშებს, რომ ორგანიზაციის დადგენილებით ორი საათით მეტი უნდა იმუშაონ ორთქლმავალის შესაკეთებლად. მისი გონება და ფიქრები სხეულის მოძრაობასთან ერთად გადადის დაზგიდან — დაზგაზე, ბრიგადიდან — ბრიგადაზე და საამქროდან — საამქროზე. თან მიაქვს გადაწყვეტილების განუზომელი პასუხისმგებლობა, რომელიც მასში ისე მძლავრად გამჯდარა, რომ ვერც გამოგლეჯ უკან, თუნდაც მთლად დაეხვიონ ამ საამქროს მუშები, დაზგები, იარაღები, ძრავები, ელექტრო ბურღები და ორთქლმავლები.

ან და რად უნდა გამოიტანონ მისი ფიქრებიდან ეს პასუხმგებლობა? იგი ხომ დაეუფლა ეხლა ამ საამქროს ახალგაზრდობას? იგი ხომ ტრიალებს მათ თვალწინ, როგორც გადაუღებელი ამოცანა სრულიად ახალი ცხოვრების შესაქმნელად?

ამიტომ მთელი საამქროს მუშები, ხელოსნები, ტენიკოსები და შეგირდები კომკავშირელების დადგენილებამ მოიტაცა, გაამხნევა. მათ სურვილებსა, გრძობებისა და შრომითი ენტუზიაზმში შემოვიდა რაღაც ახალი, რაღაც უცნაური ძალა, რომელმაც მათი ძარღვები აამოძრავა უფრო მეტად, ვინემ ამდენხანს მოძრაობდა იგი.

ამ ამბავმა საამქროში შეამცირა გაცდენა, გულგრილობა და შეავიწროვა ზოგიერთების სხეულში მოკალათებული. ზარმაცობა. იგი ეხლა მოექცა გამოუჟვალ ჩიხში რადგან ამ საერთო შრომაში დატრიალებული ტემპები არ ინდობს მათ, არ იმალება მათი სახეები და ისინი თვალსაჩინოდ გამოკრთიან. მათი ხელების და სხეულის მოთენთილი მოძრაობა რაღაც არ ეთანხმება დამკვრელობას ისე, როგორც ამავე საამქროს გარღვევა და ჩამორჩენა არ ეთანხმება ხუთწლედის გეგმების და ხუთწლედის გმირების განუზომელ აღფრთოვანებას.

— იოსკა, სამ წყობრო საამქრომ დაამზადა ორთქლმავალი ნაწილები, ახლა მხოლოდ ქვაბს უცდით, რომ ავაწყოთ საათივით, ხო მართლა სახარატო და ბორბლების ცეხმა კინალამ ჩაგვიგდო მუშაობა: ჯერ იყო და ძლივს მიაწოდეს სახარატო საამქროს ბორბლები, მერე კი არ ეშველა მის გამოჩარხვას არაფერი.

— ახლა ხომ მიიღეთ?!

— როგორც იყო ვეღირსეთ, — უთხრა უჯრედის მდივანს საამქროს ბუქსირზე ამყვანი ბრიგადის ხელმძღვანელმა.

იოსკა უყურებდა გულდამშვიდებით, თუ როგორ ღელავდა ამ ადამიანის სულისთქმა და როგორ იძირებოდა მისი თვალები დამკვრელობის შეუჩერებელ სვლაში. მას ამ წუთში არ უნდოდა ზედმეტი რამ ეთქვა, ზედმეტი დრო დაეკარგა, ამიტომ მისი თვალები იოსკას ეუბნებოდა რაიმე ღონისძიება მიეღო საქვაბო საამქროს ჩამორჩენის წინააღმდეგ.

— კოლა, რას გაფთრებულხარ? — მიმართა მას იოსკამ.

— მე მაფიქრებს ჩვენი ორთქლმავალის ბედი, იგი ახლა უმუცლოდ გდია წელგამოშიგნული, თუ დროზე არ უწამლეთ, მოკვდება ამ კვარტალის გეგმაში, — გაცივებული სახით უთხრა კოლამ.

— მაშ მიზეზი საქვაბო საამქროა?

— ამას ხომ ახლა გამოკვლევა არ უნდა, — დაბალი ხმით უპასუხა იოსკას და მკლავებზე დაწყობილი რკინები ძირს დადო.

— დაეცხოთ საქვაბოს ბიჭებს, ავტეხოთ განგაში, ყვირილი, შეუთოთ ცეცხლი, ავაფეთქოთ, ამით გამოვაფხიზლებთ თუ ვინმეს ჩვენთვის უცხო ფიქრებში ჩაეძინა, ან თუ რომელიმე მუშა გაიტაცა სიზარმაცემ, უპასუხისმგებლობამ, იგი ხშირად ღრღნის ჯანსაღ სხეულს ქლექიან ადამიანის ფილტვებივით.

— ერთი სიტყვით ბუქსირზე ავიყვანოთ არა?

— ბუქსირი... ბუქსირზე მთელი საამქრო, ეს არის დღევანდელი დღის ამოცანა, თორემ ჩავვარდებით, გავარღვევთ ჩვენს გეგმებს, ეს ისე გვეტკინება, ისე აგწენვება, როგორც ნაპერვაციებ ადამიანს სხეულზე ხელმეორედ გარღვეული ჭრილობა. ასეა ჩვენი საამქროს საქმეც. ერთხელ ხომ ვიგემეთ ჩავარდნა? მაშინ ავმოძრავდით და გარღვევა ამოვავსეთ, ახლა თუ კიდევ გაირღვევა ესევე ადგილი, მაშინ ეს მძიმე იქნება, ტკივილებსაც უფრო მწვავედ ვიგრძნობთ, — ამბობდა იოსკა ამ სიტყვებს ყველას გასაგონად, თითქოს მისთვის მიეყენებია ვინმეს ჭრილობა და სისხლი ყელში აწევბოდეს.

— ბუქსირი! ბუქსირი! — გაისმა ხმები და საქვაბო საამქროში ორთქლმავალის ქმინვით, ხარძარით, შეიჭრენ მეზობელ საამქროს დამკვრელები.

ვეებერთელა მუცლიანი ქვაბები შემდგარია რკინის მაგარ ბოძებიან დაზვებზე.

საამქროში ისეთი გუგუნე, ჯახანი, დარტყმა და ელექტრონის ბურღების ხრილია რომ, თუ ყურებში რაიმე არ ჩაიღვინე, ქარხნიდან რომ გამოხვალ, ვერც კივირძნობ რაიმე ხმას, გეგონება ღამეა და არსად ადამიანის სულის თქმა არ ისმისო, მაგრამ მოტყუვდები და თუ კარგად არ გაახილვე თვალები, დაგეტაკება მანევრებზე გამოსული ორთქლმავალეები.

ამიტომ ამ საამქროში სიტყვა არ სჭრის. პირსაც არ ალებენ. იქ სიტყვების მაგივრობას თითების რაღაც თავისებური მოძრაობა ასრულებს.

ამ საამქროში მუშაობას დიდი სიფრთხილე და მორიდება ახლავს. ქვაბების რკინის კედლებს ხვრეტენ ელექტრო ბურღებით. ხშირია შემთხვევა, რომ მილი, რომელშიაც დენი არის, რკინაზე დაჭირების დროს ამოვარდება და თუ მაშინ მაგრად არ დაიჭირე ხელში, ბურღს დაუტდება თავი და მუშას შემოეხვევა ტანზე.

ამიტომ მუშებიც ზედმეტ სიფრთხილეს იჩენენ. უკვირდებიან, ზომავენ და მერე სჭრიან გახომილს. ამ დროს კი შესაძლებელია მუშაობის ტემპებში ნელი სვლა შემოიპაროს, სადმე გარღვევამ იჩინოს თავი, მაგრამ ეხლა ისეთი მოძრაობა, ხმაურობა და სულის თქმა გამოიწვია საამქროს საამქროდან შემოსულ მუშებმა, რომ სიზანტე სადღაც გაჰქრა, დაიკარგა და ყველა სახეებში აინთო შრომის ცეცხლი, იგი თვალებს დაუწვავს გარღვევებს და ჩამორჩენებს.

ქარხნის სასიცოცხლო ძალა მთლიანად საქვაბო საამქროში ტრიალებს, მათი ყურადღება და ენერჯია მხოლოდ პირველი კვარტალის გეგმის ჩავარდნის აცდენისაკენ არის მიმართული.

ისმის გამაყრუებელი ცივი ხმები რკინა-ბეტონის გულიდან ამოვარდნილი. მათ ხმაურში იმზირება ყოველი მუშის გამურული თვალები. იმზირება ეს თვალები და ირგვლივ დარკინულ გარემოს აცლიან ჩამოშავებულ ჩამობურღულ სახეებს, თითქოს თვალებში ჩამდგარიყოს: ეს მური, ეს მახუთი და ეს ბენზინი, ორთქლმავალეებს რომ აგუგუნებს.

არ სჩანს უიმედობა, დაღლილობა, გულგატეხილობა. თუ ასეთები იყო, ისინი ეხლა გადამდნარან რკინა ფოლადივით და მათ სხეულში ჩაკირულა სიმაგრე, გამძლეობა და დღევანდელი დღის შეგრძნობის აუცილებლობა. მათი ტანი მავთულივით იღუნება, ხედავ გააღმასებულია და თვალების წინ გაშლილია სიცოცხლის დაუსრულებელი რეიდები, ბრძოლისა და შრომის მთებით ამოვსებული.

გმირულ ენტუზიაზმს ეოტუაცნია მათი გონება, ფიქრი, ხელები და ყველაფერი ის, რაც შეიძლება გამოადგეს ქარხნის ყოველწუთიერ გამარჯვებას წარმოების ფრონტზე.

— გარღვევა მოვსპეთ!

— გარღვევას მოგვეთეთ თავი!

— გარღვევა დავიმორჩილეთ! — გახარებული და გაბრწყინებული სახეებით მიგებნენ ამ საამქროს მუშები იოსკას, რომ მასაც განეცადა ის უდიდესი სიხარული რომლითაც ამოიგხო მათი თვალების უბეები, ამ მძიმე და გამაყრუებელ ხმაურში.

იოსკას ფიქრებში ყოველთვის იმედინაობის და გამარჯვების ნიავი ქროდა. ამიტომ მუშების მიმართვამ ეს გრძნობა უფრო წაახალისა, აღაფრთოვანა და ამ პატარა ტანის კაცმა, თვალები რომ ორთქლმავალის ქანჩებს უგავს — ამ წუთში იგრძნო, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ხელ-

მძღვანელის ფხიზელ გონებას, რომელსაც შეუძლია სწრაფად დაინახოს ყველაფერი და სწრაფადვე აამოძრაოს მთელი ქარხნის მუშები, დაზვები, ქურები, ლუმელები, ღვედები და სხეულის უჯრედებში მოქცეული შრომის ენტუზიაზმი.

ლუმელებში აღუღებულ ლითონივით აჩუხჩუხდა ქარხნის ცხოვრება. გაქანებულ ორთქლმავალივით ახანხარდა დაზვასთან მომუშავე ადამიანის ხელები.

უკვე დასვენების დრომ მოაწია.

საყვირმა დანიშნულ დროზე ხუთი წუთით ადრე იყვირა.

საამქროს სამკუთხედი ამოძრავდა . . . ტაბელები ბოქლომით არის დაკეტილი და არ ალებენ.

რაშია საქმე, გააღეთ, ტაბელები გვინდა! — იკითხეს მუშებმა.

— მფრინავი მიტინგია! — გაისმა ძახილი.

* *

საამქროს შუაგულში ელექტრონის მოძრავ ბაქანზე ავიდა იოსკა. მის ირგვლივ შემოიკრიბა საამქროს მუშები, ზოგი ორთქლმავალის ცილინდრზე ჩამოჯდა, ზოგი ქვაბებზე, ზოგი ბორბლებზე და ზოგი დაზვებზე.

რაღაცას მოელის მათი გაბრწყინებული სახეები. და ეს რაღაც იოსკამ ხუთ წუთში ამცნო თვითთულის ცნობის-მოყვარეობით გატაცებულ სურვილებს:

ამხანაგებო! სამტრედიის საყუდის მუშების ბრიგადა მოვიდა ჩვენთან. თან მოიტანა მუშების მომართვა, რომელსაც აქ მოკლედ წავიკითხავ.

— მოკლედ იოსკა, შენებურად მოაბი საქმეს თავი!

— დაიძახა ხელიხოვმა.

— თქვენი შეკეთებული ორთქლმავლები ვერ აკმაყოფილებენ მოთხოვნილებას და საყუდში ჩაბარების შემდეგ მოითხოვენ კიდევ დიდ შეკეთებას, განსაკუთრებით საქვაბო ნაწილში. ამის დასამტკიცებლად მოგვყავს რამდენიმე ფაქტი — ამ უკანასკნელმა სიტყვებმა მუშებში ხმაურობა გამოიწვია, განსაკუთრებით კი საქვაბო საამქროს მუშები გრძნობდნენ ამ სიტყვების ძალას და სიმძიმეს.

— საქვაბომ შეგვარცხინა!

— მაგათ ჩაშალეს ჩვენი გეგმა! — წამოიძახეს მუშებმა, მაგრამ იოსკამ დააწყნარა ისინი: აი კიდევ რას სწერენ სამტრედიელი მუშები:

— თქვენგან მარტის თვემდე გამოგზავნილ ათ ორთქლმავალს აღმოაჩნდა შემდეგი ნაკლი: საკვამლე მილი ყველა ორთქლმავლებზე დაზიანებულია. მისარევე რგოლებში წყალი სდის. ორთქლმავალი № სრულიად გამოსაცვლელი შეიქნა, რადგან გახეთქილია. საცეცხლე ყუთის ნაკერში აღმოჩნდა ოცდა თვრამეტი მილიმეტრი გახსნილი, რომელმაც გამოიწვია ახალი მოქლონების დადგმა. №-ზე უშვებდა დენარის მკვეთრს, არ მუშაობდა ვესტიგალუზის ტუმბო. საცეცხლე ყუთში ოცდა თუთხმეტრ სამბი და ოცდა სამი საკვამლე მილი გახეთქილი იყო. აგრეთვე სხვა სამბებს არ ჰქონდა გასუფთავებული საკონტროლო მილი, დაბლა ნაწილი კი მთლიანად დაყრუებული იყო. №-ზე აღმოჩნდა თრევი გამდნარი, წინა ნაწილის ბჯინები, ქანჭიკები და აგრეთვე ცილინდრის ქანჭიკები მთლიანად დასუსტებული იყო. მაზუთის და წყლის ბაკი სრულიად არ იყო გაწმენდილი და შეკეთებული, კვეთარის პირი კი შეჭმული აღმოჩნდა.

ხეზოდ მოყვანილი დეფექტები სარემონტო ქარხანაში უფრო ადვილი გასაკეთებელია, რადგან თქვენ მოგეპოვებათ საკმარისი იარაღ-მანქანები და მოწყობილობა, ამავდროს სამტრედიის საყუდის ევლინება თქვენი მექვაბეები.

(გაგრძელება იხილე შემდეგ ნომერში)

ჭაობის მოკასინი

ჯონ მატეუსის მოთხრობა

უხვი ცვარი იცის მექსიკის ყურეს ნაპირებზე. განთიადზე მის სიმძიმის ქვეშ იღუნება ხის ტოტები. რა შეხუთული ღამე იცის, მის ნაცვლად კი დგება დილა ბუზების მომაბეზრებელი ბზულით უჩინარი კალიების ჭრიჭინით, ძაღლების გაუთავებელი ხრინწიანი ყვირით.

ბუზებთან, ძაღლებთან და გველებთან ერთად ილივიებენ კატორღელებიც თავიანთ გალიებში. იფუნტენ თვალებს, იხედებიან ყოველმხრივ, მაგრამ მათი თვალები მაინც ბუნდოვანი და მოწყენილია მათი მხედველობის არე ძალიან შეზღუდულია. მხოლოდ ჭაობი და ნაძვების უსაზღვრო კედელი, ნაძვების, რომელთა კანი რამდენიმე ფუტის სიმაღლეზე დასერილია თეთრ ზოლებად. ამ ზოლებს ქვეშ ჭურჭლებია დაკიდებული, რომელშია გროვდება ნაძვიდან ჩამონადენი ფისი გათენებისას და ბინდში ეს თეთრი ზოლები ფანტასტიურ სახესღეულობენ. ისინი ემსგავსებიან სიცილით დამანჭულ სახეს, უფრო ხშირად კი, საკატორღო ბანაკის ზედამხედველის სასტიკ სახეს.

ყარაული იცვლება. ღამენათევები მუხლებზე ხოხვით მიდიან ფარდულში, რომლებიც მოთავსებულია გალიებს უკან. მათ უნდათ ცოტა მაინც დაიძინონ, სანამ პაპანაქება არ შეუშლის ხელს.

ნესტიან ჰავაში მოხარული ყვეს სუნი დგას, დისახლისობს ერთად ერთი თეთრი კაცი ამ ხანგ კატორღელებს შორის. თანაშემწედ მას ხანგი ჰყავს მიჩენილი.

გალიების კარები იხურება და 23 ხანგი გამოდის თავიანთ მოძრავი საფლავებთან. მათ აცვიათ ჩვეულებრივი ტანისაცხის: თეთრ-შავ ზოლებიანი კურტკა და შარვალი. ხანგები იზმორებიან, როგორც ძაღლები წყმუტუნობენ და დროგამოშვებით რაღაცას ბურტყუნობენ, ამავე დროს ხარბად უმზერენ საგზაო სამხარულოს.

ისინი იჩქარაან მდინარისაკენ, სადაც ზოგი სახეს იგრილებს, ზოგიც წყალს სვამს. ყველას სხვადასხვა ფიგურა აქვს: გრძელი, მოკლე, სქელი, გამხდარი, სუსტი. მაგრამ ყველას ფასი აქ, ამ საკატორღო ადგილას—გროშია, თუ არ ჩავთვლით იმ „ნელფასს“, რომელსაც ისინი თავის შრომაში ღებულობენ ტერაპეუტიკის საწარმოებად.

მუდმივი მეთვალყურეობა საშინლად ახშობს სულს. ჯარისკაცებს აქვთ თოფები, რომლებიც ჰკლავენ ადამიანს. მათი თვალები განუყვეტილი უყურებენ ხანგებს. რა შეუძლია ხანგს ასეთ პირობებში შიშველი ხელებით?

ბრძანება—და ერთი მეორეს მისდევენ ტუსალები თავის ულუფი ისარებად. თუნუქის კიჭა შებოლილი ყავით, ერთი ნაჭერი ღორის ხორცი, სიმინდის პურის ნატენი. უნდა სჭამო, სჭამო რაც შეიძლება მეტი, რომ სიმშილისაგან სული არ გაგძვრეს გზაში.

საუზმობენ ყარაულებიც, საუზმობენ და ფრთხილად ადევნებენ თვალყურს. ნაძვების წვეროები პირველმა სხივებმა ალოკა. ჩრდილები ისევე როგორც ყველაფერი გარშემო, მოლუშულია. შავი სახეები, თეთრი სახეები, ტუსადის ტანისამოსის შავი ზოლები, თეთრი ზოლები. ხალხი ზებრას ჰვავს.

კატორღელთა სახეზე მწუხარება, უიმედობა და ჩაფიქრება. ყარაულებიც კი მოექცნენ ამ გარემოების გავლენის ქვეშ და მიყუჩებულან. სვედაა! არც დასვენება, არც ქაღები... წერილებიც კი იშვიათად მოაქვთ. გარშემო კი, ასეთი ვერსის მანძილზე, ერთი და იგივე სურათია: ჭაობი, ხეები, რომლებიც მზეს ეფარებიან, თეთრებ გუფრ მეთვალყურეობისათვის, და უსაქმობისათვის, შავების ჯაჭვი მუშაობისათვის და გალიებში ყოფნისათვის.

მაგრამ ცხოვრება ხომ ცხოვრებად რჩება. როგორი საზოგადოებრივი არ უნდა იყოს ყარაულობა და შეუიარაღებელი ხანგების ყოველ წუთს ტუქვა, არის ამაზე ცუდო მდგომარეობაც და ამაზე მომქმნეველი შრომაც. სამუდამოთ ხომ არ არიან მოწყვეტილი ქვეყნიერებას. დაკარგული დღეები ანაზღაურებული იქნება გადაჭარბებით.

ხანგები თავისებურად ინუგეშებენ თავს. ტუსადი ნომერი I. ის კატორღაშია სპირტით ვაჭრობისათვის. ვადა—6 თვე. შემდეგ... შემდეგ ისევ ძველ პატრონთან დაბრუნება შეუძლებელია, რომ მან არ გაანთავისუფლებიოს იგი და სამუდამო მინობაში მისცეს.

ტუსადი ნომერი 3. სუსტი იმედებია. ხანგრძლივი კატორღა! ის კი უკვე მოტეხილია. ფერმკრთალობა უკვე გამოსჭვივის მის ბუნებრივად შავი ლოყებიდან. თმები თეთრდება. საქმე ცუდათაა.

ტუსადი ნომერი 13. მოკლა თავისი კოჭურენტი. „ორი წლით კატორღა“ სთქვა მოსამართლემ. მაგრამ აქ ვადებს არ იცავენ. ტუსალებმა ეს იციან და ჩორჩულით ეუბნებიან ერთი მეორეს: „აი, ხეები იძლევიან მოგზას—ვიღაცამ ხომ უნდა მოაგროვოს ფისი? ხოლო ჭარბი მოგებისათვის ბერი ხელია საჭირო...“

მხარეული ძაღლებს აქმევს. საყოველთაო გართობაა. ძაღლები ღრინავენ, ყიფენ და ჰვარავენ ხანგების ჩუმ დრტინვას.

ნომერმა 23-მა უთხრა ნომერ 22-ს:
— ერთ-ერთი ჩვენთაგანი უნდა მოკვდეს. ან მე, ან უფროსი, ნომერმა 22-მა ჩურჩულით გააფრთხილა ნომერი 23:
— რა შეგვიძლია გავაკეთოთ, ვერც შენ, ვერც მე ვერაფერს გავაკეთებთ!..

ძაღლები შემოხეივნენ საქმელს, მძლავრებმა სუსტები გაყარეს, მათი კუჭები უფრო მეტს მოთხოვნილებებს აყენებენ. ყფა გაბრაზებულ ღრინვაში გადადის, ღრინვა—ჩხუბში.

ტუსალების თვალები ბრწყინავენ. ყარაული გახარებულია. დიდ თეთრ ძაღლს ღონიერმა ეშვებმა გამარჯვება მოუპოვეს. დამარცხებულები ყფით გარბიან და ილოკავენ ჭრილობებს.

ყარაულები ოხუნჯობენ:
— მშიშარები არიან, როგორც ხანგები.
ნომერი 22, რომელიც ეხლახან ჩამოიყვანეს აფრიკიდან, გულის ოსაგებად იცინის. ნომერი 23, მკვრივი და ღონიერი, გაბრაზებული ჰკუმშავს შავ მუშტებს.

მისი ამხანაგები მოექცნენ ციხის გავლენის ქვეშ. ისინი უარს ამბობენ თავის წარსულზე. მათ არა აქვთ დღევანდელი დღე. მათი მომავალი ბუნდოვანია. ზოგი მათგანი მთლად დაეშვნენ და დაკარგეს ადამიანის სახე. ჭაობმა, რომელიც მათ რგოლად არტყია, მხეცებად გადააქცია. ბანაკის უფროსი, რომლის ყოველი ნომარობა მათ შიშსა გერის, მათი ბედაა, უმაღლესი ხელისუფლება, რომელიც მთელი თავისი სიძლიერით მათ წინააღმდეგ არის. ის ისეთივეა, როგორც ის თეთრი ძაღლი ძაღლების ხროვაში.

ძაღლებს, ისევე როგორც ადამიანებს, აქვთ გრძობა, რომელიც სძლევეს ხოლმე შიშს. სიმშილი—ერთი ამ ინსტიტუტთაგანია. მან აიძულა გამხდარი, გასაცოდავებული ძაღლი გადაედგა საშინელი ნაბიჯი: დაავლო პირი ძვალს და მოჰკურცხლა, ეს მას სიცოცხლის ფასად დაუჯდა: თეთრმა ძაღლმა ერთ წუთში გადაფრლნა ყანყარატო. სიკვდილის წინ კენესოდა საწყალი ლეკვი, ხოლო ყარაულები ღრიალებდნენ:

— ვაშა თეთრებს, ვაშა თეთრებს;
ყველა იცინოდა. გაუბედავად აჰყოლოდნენ სიცილს ხანგებიც. საყოველთაო აპატია ერთი წუთით გაქარწყლდა. როცა ხალხმა ცოტა გვერდზე გაიწია, ნომერმა 23-მა აიღო მძიმე ჯირკვლე და თავი გაუსრისა თეთრ ძაღლს.

ყველა თოფები, თითქოს ბრძანება გაიცაო ტუსალების წინააღმდეგ მიმართა.

— დაიჭირეთ! აქვთ ჩქარა!
— ფარდულიდან გამოვიდა რაზმის უფროსი: როგორც გრიგალი, ისე გაემართა შემთხვევის ადგილას.

— რა ეშმაკებია!—დაიღრიალა რაც ძალა და ღონე ჰქონდა ის ღონიერი იყო, როგორც ჰერკულესი, ეს წითური, წითელ სახიანი კაცი ხარის კისრით, რკინის ბეჭებით და ცივი ფოლადისებური თვალებით. ერთი ხელით ავტომატიურ რევოლვერს კუმშავდა მეორეთი დაწულ მათრახს.

მას მოახსენეს მომხდარი ამბის შესახებ.
— აი, ამ ხანგმა, ჭურღმა, ნომერმა 23-მა, მოკლა ჩემი საკუთარი ძაღლი. აქ, ჩვენ თვალწინ გაუტეხა კეტით თავი.

— ხანგმა?
ცოფიანი ქაფი მოადგა უფროს ტუჩებზე. მან დაუმიზნა ხანგს რევოლვერი.

ყრუ გრგვინვა გაისმა ტუსალების რიგებში.
— რა შეგვიძლია გავაკეთოთ? არაფერი, არაფერი...
ზოლიანი ტანისამოსი მიწაზე დაცა. მათრახმა კვალი დაასვა ნომერ 23-ს შავ ტანს.

— ილოცე, ხანგო, შენი აღსასრული დადგა.
ყველა სდუმდა. მალე მათრახის დარტყმა უფრო ყრუ, უფრო ხანგამოშვებით, უფრო გამოზომილი მოისმოდა.

— დღეს, საბოლოოდ არ მოგკლავ, წყეულო!—წიხისინა უფროსმა — სამუშაოდ!

მერე ყარაულებს მიუბრუნდა და განკარგულება გასცა: წვენი გამოადინეთ მაგას. გუშინ ბრძანება მივიღე, გავადილო მუშაობა!

უტბად შეამჩნია, რომ ხანგმა, რომელიც სისხლისაგან იცლებოდა, მოინდომა ტანისამოსის აღება და დაუღრიალა:

— ტყეხას მიიღებ მუცელში, თუ კი გაბედავ რამის ჩაცმას!
შავი ხალხი შავ-თეთრ ზოლიან ტანისამოსში გაიშალნენ სარტყელით ნაძვებში. ნელ-ნელა ჩამოდის ძვირფასი წვენი, რომელიც

ამარაგებს ცივილიზაციას ტერაპენტიკით და კანიფოლით, ზანგები უფრო ღრმად მიდიან ჭაობში. ფეხ ქვეშ აუარებელი მწერია. ხეების ან ქვეშ დამალულან მორიყლები. შხამიანი გველები სისინით დას-ყურავენ და გამოჰყოფენ ხოლმე თავის პატარა, საზიზღარ თავებს. ყველაზე საშინელი მათგან—მოკასინია. მისი ნაკბენი სასიკვდილოა, ისევე როგორც მჭუხარე გველის ნაკბენი. მაგრამ ეს უკანასკნელი ხმაურობით ატყობინებს ადამიანს უბედურების შესახებ, მოკასინი კი უცბად მოულოდნელად დაესმის თავს.

—ადგილებზე, ზანგებო! —ბრძანებს უფროსი.

მან იცის, რომ სიმღერა მონებს ახალ ძალებს მატებს, აჩლუნ-გებს უკმაყოფილების გრძობას. ფერებში და ტერაპენტიკის საწარმო-ებზე სპეციალურად ამ მიზნისათვის ჰყავთ მომღერლები, რომლებიც მუშაობის დროს დაიწყებენ მათ მიერვე შეთხზულ მელოდის სიმღე-რას. ზანგები მალე აწყვებიან ხოლმე სიმღერას—იქნებ იმიტომ, რომ უფრო ახლოს განიცდიან ბუნებას.

ვილაცის მწუხარე ხმამ დაიწყო სიმღერა ჭაობის მოკასინის შესახებ:

ჭაობის მოკასინი! ჭაობის მოკასინი!

ამ სიმღერაშია შიში ჭაობის ციებიანი უსახლეროების წინაშე, ზი-ხლი თეთრ დამონებლებისადი, მარტოობის სიმწარე.

ჭაობის მოკასინო, შენ სიკვდილით გვემუქრები.

ოჰ, შეიბრალებ დატანჯული ზანგი,

ჩვენ ვერიდებით შენს შხამიან ნაკვალევს!..

ჭაობის მოკასინო, შენ სიკვდილით გვემუქრები!

როგორც გაუბედავი სუნთქვა, ისე მოისმოდა სიმღერა ხეების ჩრდილში, რომლებსაც სურნელოვანი წვენი ჩამოსდიოდა.

ჭაობის მოკასინს არ ეშინია ადამიანის.

მისი ბუდე წაქცეული ნაძვის ჩრდილშია.

მისი პირი, როგორც თეთრი ძაფია,

ხოლო ენით ლოკავს სამხრეთს და ჩრდილოეთს,

ჭაობის მოკასინს არ ეშინია ადამიანის.

მჭუხარე გველი გვაშინებს თავის ქუხილით

და გვაუწყებს დაცემის შესახებ.

მოკასინის თვალები კი საშინელებას გვრიან.

ვი, ზანგო უფრთხილდი. ჭაობის მოკასინი

გაგზავნის საშინელ სამსჯავროს წინაშე; ეს მართალია ისევე, რო-გორც ის, რომ შენ დაიბადე.

ტიტველი კაცი სულ ტორტმანობდა, ბორჰიკობდა, ეცემოდა და ისევე ფეხზე დგებოდა. თავბრუ ეხვეოდა. ყურებში უწიოდა. აღზნებულ ტინში წამოიჭრა მოგონება შორეულ აფრიკელ წინაპრებზე, რომლებიც დახეტებოდნენ კონგოს ნაპირებზე.

შუადღეა. მზე მაღლა დგას. ცხელა, როგორც გავარვარებულ ლუმელში. კუჭი ცარიელია, ხახა გამშრალა, ტუჩები გამშარა. რა

საშინელი ჯაჭვია: შრომა, ჭამა, ძილი, სიცხე და ისევ — შრომა, ჭამა ძილი, სიცხე. რატომ სიკვდილი არ არის? გათავდებოდა ტანჯვა.

ტუსალებს უკან მოსანსალებენ ძალები, რომლებსაც გადმოუ-ყრიათ ვახურებული ენები. სიციხისაგან ჩხუბის ხალისიც დაჰკარგვიათ საიდლანაც მონარშული მუხუდოს სუნი მოდის. ეს სუნი უფრო მოქმე-დობს, ვიდრე ახალი ფისის საუცხოვო სურნელება. ყოველ ფენის ნაბიჯზე წაქცეული ხეებია. მათ ხავსი და სოკოები მოსდებიან. მზეზე სოკოების კანი შავდება. მაგრამ, სოკოებია ეს? მაშ, რატომ მოძრა-ობენ? ბრწყინავ რგოლებათ იკლანება გველის ტანი. მოკასინი მზეზე თბება.

ის ძალებმა აღმოაჩინეს. ხტუნვა დაიწყეს და შიშისაგან და სიბრაზისაგან ყმული მორთეს.

რაზმის უფროსს მხიარულმა აზრმა გაურბინა თავში.

ვი, ზანგო, ძაღლის მკვლელო! აბა, დაიჭირე გველი! რა, არა გი-ნდა? მაშ, მაგ შენ შავ ტყავს დავაცხავებ.

ჩუმი კენესა და სიჩუმე:

გესმის, ზანგო?

აყენებული ჩახმახის შემადრწუნებელი ხმაური.

ზანგის თვალები უცბად გაბრწყინდნენ. ტანი აუკანკალდა. ის მთლად გაიკიმა, როგორც სიმი. კუნთები არაჩვეულებრივი ძალით დაიკიმა. მოძრაობამ მოულოდნელი ელასტიურობა მიიღო. როგორც მეხი, ისე დაეცა გველს მანამდე, სანამ ის მოასწრებდა მის შემჩნევას ერთი ხელით როგორც მარწუხით მოუჭირა ყანყრატოში, მეორე ხე-ლით გასჭიმა გველის მახინჯი ტანი, რომელიც იკლანებოდა.

ყველა გაჩუმებულიყო, თითქოს ჰინოზის ქვეშ, და თვალყურს ადევნებდა ლაოკონის გამარჯვებას. მაგრამ, რა არის ეს? ოთხფუ-ტიანმა ბრწყინავმა გველმა გაიღვია და შემოეხვია უფროსის კისერს. ორჯერ იგრძნო უფროსმა თავის სახეზე გველის თეთრი პირის სიცივე.

ტყვიამ დასცა ნომერი 23 და ერთი წუთის შემდეგ ძაღლები ხარბად ლოკავდნენ მის სისხლს.

ამასობაში უფროსის თავი გაიბერა, როგორც წითელი ბუშტი. ერთი წუთის შემდეგ აღარ ჩანდა თვალების და ცხვირის არავითა-რი კვალი. ისმოდა მხოლოდ სასიკვდილო ჩამხრჩვავი ბუტბუტი:


— ღმერთი, მგონია, ზანგად გადაიქცა... ის შავია, შავი, შავი..

საგზოთა აღმშენებლობა

უზუზუვრობა კაკიტალისტურ ქვეყნებში



კაკიტალისტურ ქვეყნებში უმუშევართა რიცხვი თანდათან მატულობს. ულუკმაპუროდ დარჩენილი მუშები ღამეს კარში ათენებენ, რადგან სახლის პატრონები ქირის გადაუხდელობის გამო ბინაზე აღარ აჩე-რებენ



ბათომი: შენდება ახალი ქარხანა, რომელიც უბრალო ნავთს ბენ-ზინად გადააქცევს.

„ფოლადის პოემა“

კ. მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით არსებული სახელმწიფო ქართული დრამა.

დადგმა ელ. ლოლობერიძის და გრ. სულიაშვილის მხატვარი პ. ოცხელი

სოციალისტური მშენებლობის მიმდინარე ეტაპი თეატრალური კულტურის წინაშე გარკვეულ ამოცანას აყენებს: მხატვრული პრაქტიკის იდეურ, თემატიური გეზი



ს. თაყაიშვილი ინკას როლში

უმთავრესად უნდა განისაზღვროს რეკონსტრუქციული პერიოდის პოლიტიკურ-სამეურნეო საკითხებით. რაც ამავე დროს გულისხმობს თეატრალური მშენებლობის ახალ



ბ. ღამბაშიძე ინჟ. გლეხის როლში

ტემპებს, მისი მეთოდური-ნერხობრივ საშუალებათა გარდაქმნას.

ჩვენი პროფესიონალური თეატრების პრაქტიკა ვერ ამართლებს ამ ამოცანით განსაზღვრული დანიშნულებას— აპოლიტიზმი, განყენებულად—რევოლუციონური თემატი-

კა, უსაგნო ესთეტიზმი, ექზოტიკა, ჯერ კიდევ ვერ არის დაძლეული და აღმოფხვრილი თეატრალურ პრაქტიკიდან.

„ფოლადის პოემა“ მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით არსებულ თეატრის—სცენაზე—საგრძნობი ეტაპია ასეთ ჩამორჩენილობის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ დადგმით თეატრმა გვიჩვენა, რომ მისი მხატვრულ-იდეოლოგიური ორიენტაცია ცდილობს წარიმართოს არა „სამი ბღენძისა“ და „არსენაის ლექსის“ ხაზით, არამედ ჯანსაღი და თანამედროვეობის მოთხოვნებისადმი დაქვემდებარებული გეზით.

პაგოდინის „ფოლადის პოემა“ სოციალური მშენებლობისა და თემატიკის მხრივ მეტად დროული პიესაა. იგი წარმოების სოციალისტურ რეკონსტრუქციის მასალებზეა აგებული. სამხრეთ-ურალში, ზლატოუსტის მელითონეთა არმია იბრძვის ტენიკის დაპყრობისათვის, საბჭოთა ინდუსტრიის დამოუკიდებლობისათვის, რომლითაც მუშათა კლასი უდიდეს სიძნელეთა და დაბრკოლებათა გადალახვის გზით—მიღის ახალ მიღწევებისაკენ. აქ ნაჩვენებია შრომის ახალი ფორმები: დამკვრელობა, სოცშეჯიბრი, მუშათა გამომგონებლობა, პიესა ამ მხრივ წარ-



ნ. გაცირიძე იმაგუშას როლში

მოადგენს „სახელისა და გმირობის საქმედ შრომის გადაქცევის“ ავტაცციას. პიესაში დაყენებულია აგრეთვე ტენიკური ინტელიგენციის ფენებად დაყოფის, ახალი კადრების პრობლემა. ნაჩვენებია კაპიტალისტური გარემოცვის დამოკიდებულება ჩვენს წარმოებასთან; მავნებლობის საკითხი, პიესა აყენებს აგრეთვე ახალი ყოფაცხოვრების პრობლემებსაც.


პრობლემათა ასეთი სიმრავლე და თემატიურ მასალის სიუხვე ხელს არ უშლის პიესის მთლიან კომპოზიციას. მართალია მას არ ახასიათებს სიუჟეტური კვანძი, იგი უფრო ეპიზოდურია და ფრანგმეტული თავის აგებულობით, მაგრამ მხატვრული კონსტრუქციის ორგანიულობა მასში მიღწეულია.

უნდა აღინიშნოს, რომ პიესა ბევრს კარგავს ქართულ თარგმანში—მიუხედავად ვ. გაფრინდაშვილის მეტად კვალიფიციური ნაშრომისა. და ეს მიუხედავად იმისა, რომ პიესის იდეურ თემატიკური შინაარსი თანაბრად ახლობელია ქართველი მუშა-მაცურებლისათვის.

უმთავრესი ამ პიესაში—დრამატურგული ხერხის მხრივ—არის მეტად თავისებური ტიპაჟი და ასევე თავისებური ადგილობრივი სიტყვიერი მასალა. ცხადია თარგმანში ეს ნაწილობრივ დაკარგულია, რაც პიესის დრამატურგიულ ხარისხს ამცირებს.

ეს „დაუძლეველი სიძნელე“ ანაზღაურებულია თეატრის მიერ დადგმის მაღალი ღირსებით.

პ. ოცხელის მიერ დიდ გამომსახველობითი ინტენსივობით არის შესრულებული დეკორატიული კონსტრუქცია. საშუალებათა ეკონომიის დაცვით მიღწეულია დიდი სცენიური ეფექტი. ქურა, სადაც ლითონის გადა-



ვ. გოძიაშვილი სტეპაშკოს როლში

დნობა ხდება, განუწყვეტლივ მონაწილეობს დრამატიულ მოქმედების სვლაში. წარმოდგენა საერთოდ აგებულია დინამიურ ტემპებზე. მუშა-მაცურებელი აქ უშუალოდ განიცდის სოციალისტური ინდუსტრიის მაჯის ცემას. ამ მხრივ დადგმა სავსებით აღწევს განზრახულ ეფექტს.

არტისტიული შესრულების მხრივ, ზოგიერთ როლებს ემჩნევა ნაჩქარევი დამუშავება; აქაც თავს იჩენს პიესის პერსონაჟის თავისებურებით გამოწვეული სიძნელე. მიუხედავად ამისა მსახიობთა კოლექტივის მიერ ამოცანა მაინც დაძლეულია. ისინი ქმნიან რეალურ, დამაჯერებელ სახეებს; მთელი რიგი როლებისა არტისტიული ოსტატობის მაღალი ხარისხით არის დამუშავებული.

ძლიერი გულწრფელობით განასახიერა ენტუზიასტი ახალგაზრდა მუშა-ქალის როლი ს. თაყაიშვილმა (ინკა), თანაბარი ოსტატობით აქვს მას დამუშავებული როლის ყველა ადგილი. ნიკ. გოცირიძემ იმაგუშას შესრულებით ერთი ახალი, ორიგინალური სახე შემატა მის მიერ შექმნილ, ყველასთვის ცნობილ სცენურ სახეებს, მუშა გამო-

მგონებელის სტეპაშკოს შემსრულებელმა ვ. გოძიაშვილმა მძლავრად აგრძნობია აუდიტორიას საბჭოთა ინდუსტრიისათვის ბრძოლის ენტუზიასში და თავგანწირვა. იგი როლს ანვითარებს უკიდურესობათა ხაზებში: დიდი ენტუზიასში, უსაზღვრო მწუხარება, საშინელი დაღლილობა, თავდავიწყებამდე მისული აღფრთოვნება. ეს ცვალებადობა დაკავშირებულია მისი მეტად ფასეული გამოგონების ბედთან. აღსანიშნავია კატიას როლში ელ. დონაუჩის ოსტატობა ოჯახის სცენაში ყურადღებას იპყრობს. შალვა ღამბაშიძე, რომელმაც მოგვცა სწორი საბჭოთა წარმოებისათვის თავდადებული სპეციალისტის განსახიერება.

დანარჩენ შემსრულებელთაგან აღსანიშნავია სარაული, ურუჟოლიანი, ძნელაძე, კოსტავა და სხვა.

თ. ვახვახიშვილის მუსიკა კარგადაა შეფარდებული წარმოდგენის ტემპთან.

„ფოლადის პოემა“ დადებითი ნიმუშია ჩვენს თეატრალურ კულტურაში, საჭიროა ამ ხაზით სვლა, რასაკვირველია მხატვრული კვალიფიკაციის შემდეგი ზრდითა და გაღრმავებით.

თეატრელი

საქსოვ ცეხიდან

მქსოველებო, სწრაფად ქსოვეთ,
მივცეთ დაზგას მარდი ხელი,
მანქანები შრომას გვთხოვენ,
და, მკერდები ოფლის მღვრელი...

ოფლი ვღვაროთ,
და ამ ოფლით ქსოვილები დავასველოთ,
მომავალი მივცეთ მხარეს.
ლხენა ქსოვილს ჩავაქსოვოთ...

მშრომელებო, არ იფიქროთ,
ამ მკერდების ოფლის ღვარი,
— დაიკარგოს უმიზეზოდ, —
ჩვენი მკლავის მონაგარი
უბრუნდება ქარხნის ეზოს!

ხელი დაზგას.
ეს ძაფები—გაწყვეტილი გადააბით,
თორემ რას გავს,
თაღლითობით ვერ მივალწვეთ
მზიან ნაპირს!

არ იფიქროთ ჩვენი შრომა
უმიზეზოდ დაიკარგოს,
— იყოს ოფლი უნაყოფო
ან უბრალოდ დანაღვარი.—

— დამკვრელებო,
მარდად ქსოვეთ,
ცეხში ხმები გაიშალოს,
— რომ პროდუქტი უხვად ჰქონდეს
საბჭოეთის მზიან მხარეს!

დამკვრელი მუშა: მიხ. ქარცივაძე.

კინო-სურათი „ჯიმ-შვანთა“

ტფილისში მიდის კინო-სურათი „ჯიმ-შვანთა“ (სცენარი დაწერილია ტრეტიაკოვის მიერ, სურათი გადაიღო საქართველოს კინო მრეწველობამ).

ვისაც სვანეთი უნახავს, იქ უცხოვრია და ხალხის ყოფა-ცხოვრებასთან ოდნავ გაცნობილა, მისთვის კინო სურათი „ჯიმ-შვანთა“-ს ზოგიერთი ადგილები, სრულიად უცნობი, გაუგებარი, და გაუგონარია.

მართალია უგზოობა კარგათ არის გაშუქებული, მაგრამ ნუ თუ ამდენი ხნის იქ მუშაობის განმავლობაში, კინო-მრეწველობას არ შეეძლო გადაღება სვანეთის გზის მუშაობის პროცესის მართლაც საინტერესო მომენტებისა? ამ სურათში კი არაა სვანეთის გზის მუშაობის პირობების სიძნელენი, გრანდიოზული აფეთქებები, კლდეების ნგრევა და სვანეთის არაა გადაღებული, არამედ ნაჩვენებია სულსხვა გზა.

სვანეთის იშვიათი ბუნება, თვალწარმტაცი და ადამიანის მომჯადოებელი სანახაობანი, იმდენათ მკრთალი და მინიატურულია, რომ ვინც სვანეთს იცნობს, იმ პირთათვის მისი ნახვა სულის შემშუთვევლია.

უმრავლესობა სვანებს მართალია, შეიძლება აწუხებდეს, მაგრამ ცხოველებს, რომ ეს იმდენად აწუხებდეს, რომ ადამიანის შარდის მონახვედრ კედლებს და მიწის ლოკვას აწყდებოდნენ ეს არაა მართალი.

უმრავლესობა მათთვის არაა შემაწუხებელი, ვინაიდან ბუნებას უხვად დაუჯილდოვებია ყოველი სოფელი ისეთ მინერალურ წყლებით, რომ მათი დებეტყველას აკმაყოფილებს. ეს მუქავე წყლები, როგორც წვერილფეხა, ისე მსხვილფეხა საქონელს ისე უყვართ, რომ მარილი მათთან არ ახსოვთ. მე პირადათ ხშირად წამიყვანია პირუტყვი ამ წყლებზე. მათ გამოსაცდელათ მუქავე წყალთან ახლო მარილი დამიყრია, მაგრამ მას არ დაჰკარებია და მუქავე წყალს დასწავებია. მარილის მოთხოვნილება რომ პირუტყვით, შორეულ მთებში, ზაფხულობით საძოვრათ ყოფნის დროს გაახსენდებათ, ისინი მორბიან მუქავე წყლებზე. მიადლებიან ხოლმე მას და შემდეგ ისევ უკან ბრუნდებიან.

ყველაფერი შეიძლება ითქვას, მაგრამ ძალს რომ მარილი იმდენად ენატრებოდეს, რომ ახლათ შობილ ბავშვის სისხლში მას ეძებდეს და მის ლოკვით მოთხოვნილებას იკმაყოფილებდეს, ეს აშკარა სიცრუეა. ჯერ არ ყოფილა სვანეთში ისეთი მაგალითი, რომ ახლად დაბადებული ბავში უპატრონოთ და ძალის სალოკავათ გდებულ იყოს. მარილი ძალს სძულს, მას არ ეკარება და მუქავე წყალსაც, სულ წყურვილი რომ ახრჩობდეს, არ სვამს.

სვანეთში დაბადებული და გაზრდილი ვარ, მუდმივით იქ მცხოვრები. სვანეთის ყოფა-ცხოვრება საფუძვლიანად და ყოველმხრივ შემისწავლია და პირველად მესმის (სურათი „ჯიმ შვანთა“-საგან) რომ ადამიანის გარდაცვალების შემთხვევა სხვა დროს მშობიარე ქალს სვანი სახლიდან აგდებდეს და სამშობიაროთ მარტოს სადღაც მთებში უშვებდეს და იქ სხვის დაუხმარებლად ადამიანის მიუკარებლად ლოგინობდეს. პირიქით ქალი რომ მშობიარობს ღამე ყველა ფეხზე ათენებს. ქალები თავზე დასტრიალებენ, განთავისუფლების შემდეგ ნამეტურ, მაშინ თუ ვაჟი დაიბადა ასტეხენ სამხიარულოდ სროლას, მათ აცნობებენ მეზობლებს, რომ ვაჟი დაიბადა, თავს იყრის ყველა ამ ოჯახში, ულოცავენ ვაჟის შექმნას, მშობლებს მოაქვთ არაყი, იწყება სმა და ქეიფი, ახლად დაბადებულისა და მისი დედის სადღეგრძელოები. ნიშნათ პატივცემისა მელოგინე ქალისთვის დაწესებულია მეზობლებისა და ნათესავების მიერ „ნაწვარი“-ს, ე. ი. დიდი ხაჭაპურის გამოცხობა და ძღვნად მასთან მიტანა. ახლად შობილს რომ

ვინმესი ავი თვალი არ ეცეს „ჰალი“ არ დაეპატრონოს, ბავშს აკვანში თავ-ქვეშ რკინას ამოუდებენ ხოლმე, აკვანს ნალოც ქინკს, „დუა“-ს შეაბამენ, მომსვლელებს არ უჩვენებენ.

მართალია ამას ადგილი აქვს ხევსურეთში, მაგრამ ხევსურეთსა და სვანებ შორის დიდი მანძილია, ბევრი გაუგალი ყინულოვანი მთები, უფსკრულებით დასერილი მყინვარები აშორებენ მათ ერთმანეთსა და რათ უნდა აურიოთ ერთმანეთში ან რათ უნდა დავამახინჯოთ მთიელთა ყოფა-ცხოვრების გაშუქება, მ.თი ეთნოგრაფია. ვისთვისაა ეს საინტერესო? ან რისთვისაა საჭირო?

სვანური ტირილი და მიცვალებულების გასვენება არ არის სურათში სწორად გადმოცემული; კუბო ჯოხებზე დაკრული, კუბოს მიაბრებინებენ, პირისუფალი ზოგი წინ მიბრბის, ზოგი მუნჯურად უკან მისდევს. უცბად ათასამდე კუბოსთან მიმავალი კაცი სადღაც ქრება, თითქმის ყველა საფლავეში ცვივდება, რომ მით მიცვალებული ცხონდეს. შავ მანტიაში გახვეულ ცხენს სანამდე ჰენებისაგან გული არ გაუსკდება და საფლავეზე არ დააკვდება არბენიებენ. ხარს საფლავეზე კლავენ, რომ სისხლი მოასხურონ მას და სხ.

ყველაფერი ეს სვანებზე მოკორილი ამბავია. სვანეთის ისტორიას არ ახსოვს ცხენის შავს მანტიაში გახვევა მისი ჰენებისაგან საფლავეზე დაკვლა. ხარის საფლავეზე დაკვლა. ეს გაუგონარი ამბავია სვანეთში.

ძნელია აქ შემთხვევით მოსულ უცხოელებისათვის ერთი ზერელე გავლით ხალხის ყოფა-ცხოვრებას, ენას, ადათ-ჩვეულებებს ალო აულონ და სწორად გააშუქონ. ხელოვნურად ხალხის ყოფა-ცხოვრების გასაშუქებლად შეთხზულ ამბავს შეაქვს მკითხველ და მაყურებელ საზოგადოებაში გაუგებრობა, გაურკვევლობა და სინამდვილის დამახინჯება. ამის საუკეთესო დამახასიათებელი გახლავთ აგრეთვე ამ ბოლო ხანებში რუსულ ენაზე გამოცემული ორი შრომა; კოჟენიკოვისა და ბ. კოვალევსკის, რომლებსაც შეუქმნიათ რაღაც ახალი ლეგენდები, თქმულებები, სვანეთში არ არსებული გადმოცემები, ისტორიული ეპიზოდები, ხოლო თვით სვანები, მტრის მიერ დევნილ, ყოველ კუთხიდან თავშესაფარავად შემოხიზნულ ნარეც ტომათ აღიარეს, ქართულ ტომ-მოდგმას დააშორეს, სვანური ენა რუსულსა და ევროპულს უფრო დაამსგავსეს, ვიდრე ქართულს. სვანეთის ისტორია და ეტნოგრაფია დამახინჯეს, მაგრამ ამაზე შემდეგ. მართალია სვანეთი ჯერ კიდევ უკულტურო ქვეყანაა, ბევრი პრიმიტივობაა მის ყოფა-ცხოვრებაში ჩაქსოვილი, ბევრი დასავლობი ადათ-ჩვეულებები და ძველი ტრადიციებია დღემდე ამ ქვეყანაში დარჩენილი და ყველაფერი ეს რომ სწორად იქნეს გაშუქებული, სრულიად საკმაო და მდიდარ მასალას იძლევა იმისთვის, რომ საინტერესო სურათი იქნეს მის ცხოვრებიდან გადაღებული.

სინამდვილის გაშუქების საწინააღმდეგო არც სვანს არასოდეს არ ექნება, მაგრამ ხელოვნურად იმის მოჩამხვა და შეთხზვა, რაც სვანეთში არ გაგონილა და ხალხის სიველურის გაზვიადებულად და გადასხვაფერებულად გაშუქება სასურველი არ არის. გარდა გზის გაკეთებისა, სვანეთში საბჭოთა მთავრობას ბევრი სხვა მიღწევებიც აქვს, მაგალითად: საავადმყოფოები, ფოსტა-ტელეგრაფი, ტენიი-კუმები, შეიღწელები და სხვა სასწავლებლები, კოოპერატივები, კლუბები, ახალი შენობები და სხვა. ნუ თუ სურათში ერთი სიტყვაც არ უნდა ყოფილიყო ამაზე დაძრული და სვანეთის მთელი ბედ-იღბალი და უბედურება მართო უმარილობაზე უნდა ყოფილიყო აგებული.





საქართველოს

4/1159

საქართველოს სახ. საკ. მინისტროს
საგარეო ურთიერთობების
დეპარტამენტი